# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 11 ოქტომბერი 2003 №193 (1964) ფასი 50 თეთრი

# ომს ჯარისკაცები იგებენ

## ჟორდანიამ და კოლოსკოვმა ანგარიში იციან





## ნუ იცეკვებთ რუსის დაკრულზე!

გუშინ ქართულ ფეხბურთს ორი ალიყური მოხვდა.

ქართველ 19-წლამდელებს თანატოლმა იტალიელებმა მოკრძალებული 1:0 აკმარეს ესტონურ შესარჩევში და ოფიციალურად მოუსპეს ის თეორიული შანსი, აქამდეც რომ უპერსპექტივო იყო.

გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც დამარცხდა. აქაც და მოსკოვშიც ყველამ იცოდა, რომ ქართველები ქულას მიითვლიდნენ, რადგან რუსის საქმეს ასე სჭირდებოდა. მასპინძლისთვის ქულა იმ შემთხვევაში იყო ხელსაყრელი, თუკი შვეიცარიელები ჯგუფის პარალელურ მატჩში ირლანდიას წაახდენდნენ, თუმც ირლანდიელებმა ისედაც პირველადგილოსან, უმოტივაციო მასპინძლებს ორი უპასუხო გოლი მიაყარეს და სანამ ამას გააკეთებდნენ, მოსკოვურ „ტორპედოზე“ ხელიხელჩაკიდებულებმა იარეს ჩერნიშოვის და არველაძის გუნდებმა. მერე კი, როცა გამოჩნდა, რომ ირლანდია მოიგებდა, რუსმა თავისიანებს შეუძახა და ამათაც ბოლო წუთზე უპრობლემოდ გაიტანეს მოსაგები გოლი — რუსმა ერთ წუთში შეძლო ქართველის ნახდენა.

და დღეს ტრილოგიის ბოლო აკორდია. ჩვენი პელმენი თქვენ ხაჭაპურს სჯობსო, გვეუბნებიან რუსები და დღეს ალბათ, ასეც იქნება. მერაბ ჟორდანიას და ვიაჩესლავ კოლოსკოვს დიდხანს სდიეს რუსმა და ქართველმა ჟურნალისტებმა და თითქმის ყველა დარწმუნდა, რომ ქართველთა ეროვნული გუნდი მასპინძელთან დამარცხდება. სხვაგვარად როგორ უნდა იყოს, როცა მერაბ ჟორდანიამ გუშინ მოსკოვში თქვა, მოსაგებად არ ჩამოვსულვართ, ლამაზი თამაში გვსურსო.

შევეგუოთ? და ღირსება?

# რა, რა? აი, რაგბი!

მეხუთე სარაგბო მსოფლიოს თასი ლამაზად გაიხსნა და დახურული თამაშით დაიწყო მასპინძელ-ჩემპიონ ავსტრალიასა და ქვეძლიერ არგენტინას შორის. ავსტრალია ძლივს ჰგავდა მსოფლიოს ჩემპიონს, ანუ ოფიციალური სტატუსით მსოფლიოში საუკეთესოს, მაგრამ ამის მიუხედავაც მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაჩნდა ვარაუდი მის დამარცხებაზე — როცა არგენტინელმა „პუმებმა“ მეორე ტაიმში ლელო გაიტანეს. მაგრამ ამ ეჭვმა განვითარება ვერ მოასწრო, ავსტრალიელმა „ვოლაბებმა“ ერთ წუთში იქით დაალელოვეს ჯაჯგურა არგენტინა და ტიტულის დაცვა 24:8 გამარჯვებით დაიწყეს.

ეს მატჩი მხოლოდ მადას თუ გაუღიზიანებდა რაგბის გურმანებს, მაგრამ მთელი ჩემპიონატი წინაა და ჩვენც გავძლებით ამ გემრიელი თამაშით. საქართველოს პირველ მატჩამდე კი დღელა რჩება. ერთხელაც შეგახსენებთ, ბორჯღალოსნების დებიუტი კვირას 17 საათზე პერთის „სუბიაკო ოვალზე“ მრისხანე ინგლისთან შედგება.



REUTERS

ავსტრალიელ ვენდელ სეილორს მსოფლიოს თასის პირველი ლელო გააქვს

# ირლანდიამ ფრე არ ინება



ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი

## რუსეთი 3:2 საქართველო

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. 20 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 13 500)

1:0 გოგნიევი (19), 1:1 გოცირიძე (61), 2:1 არშავინი (70), 2:2 ახალაია (86), 3:2 ვინოგრადოვი (90)

**რუსეთი:** გაბულოვი, კუზმინი, როგოჩი, კუსოვი (ბუშუევი 62), კოლოდინი, ბობერი, დენისოვი (ბუგაევი 83), პავლენკო (ვინოგრადოვი 72), არშავინი, გორინი, გოგნიევი
**მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი

**საქართველო:** მამალაძე, ციმაკურიძე (ახალკაცი 62), სალუქვაძე, ინწკირველი, ორბელაძე, ამისულაშვილი, გამეზარდაშვილი, სირაძე, დეკანოსიძე (გ. ჭელიძე 46), ახალაია, ბობოხიძე (გოცირიძე 46)
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**გაფრთხილება:** ორბელაძე (40)

**მსაჯები:** ფ. ბედე; ტ. ვამოში, ფ. სეგელი; ა. პაიდო (ყველა უნგრეთი)

კობა ინასარიძე მოსკოვიდან

### მატჩის წინ

„ტორპედოს“ სტადიონის მისადგომები, დაახლოებით 2 კილომეტრის რადიუსით, თქვენ წარმოიდგინეთ და, მატჩის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე გადაიკეტა. ცხენოსანი მილიციისა და სპეცრაზმის 2000 თანამშრომელს, განსაკუთრებით სტადიონის ტერიტორიაზე, ათასი თვალი და ყური ჰქონდა, ყველა ქომაგი საგანგებო ჩხრეკვას ექვემდებარებოდა და ამით შეწუხებული ხალხი მილიციელთა მისამართით აღშფოთებას ვერ მალავდა. ერთიორჯერ მათ შორის საკმაოდ მწვავე შელაპარაკებაც იყო, რაც, რა თქმა უნდა, ქომაგის მილიციის განყოფილებაში „მიბრძანებით“ დამთავრდა. ქართველებს კი ამ მხრივ პრობლემა ნაკლებად გვქონდა. „ბილეთი“? გვკითხავდნენ და პასუხის შემდეგ გზა გვითავისუფლდებოდა.

### მატჩი

დასაწყისი საკმაოდ დუნე გამოდგა, თუმც უპირატესობა რუსებისაა, მათ საწყის ორ წუთში ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, რაც სპარტაკ გოგნიევის უზუსტო დარტყმით დამთავრდა. ორი წუთით ჩვენებმა თითქოს მოახერხეს თამაშის გათანაბრება, ჯერ ბობოხიძეს შეეძლო მასპინძლების განერვიულება. შემდეგ ციმაკურიძეს, დეკანოსიძის გამოზომილი პასი რომ მიიღო, მაგრამ არველაძის შეგირდების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია... ეს იყო და კუზმინმა შეტევა ჩაჭრა. წუთში გოგნიევმა გაუტანა კიდეც ქართველ თანატოლებს. პეტერბურგელი არშავინი მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში „შეაცილა“ სალუქვაძეს, კარის გასწვრივ მყოფმა რუსმა კი გოგნიევს დაუგორა, რომლის ახლოდან დარტყმულს ათი მამალაძე ერთად ვერ მოიგერიებდა.

ანგარიშის მიუხედავად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე კაცი ვერ იტყვის, საპასუხო გოლის გასატანად თავი მოიკლესო, მაინცდამაინც აღარც რუსებს შეუტევიათ ჩვენებისთვის და ტაიმიც ასე, პოზიციურ ბრძოლაში ჩამთავრდა. 39-ე წუთზე ახალაიას კი ჰქონდა კარგი მომენტი, როცა ორბელაძემ ჩააწოდა და დინამოელმა როგოჩის დაასწრო, მაგრამ მისი თავური კარს ოდნავ ასცდა.

შესვენების შემდეგ უპირატესობა ჩვენებისა იყო, არველაძემ ორი შეცვლა გააკეთა, პასიური დეკანოსიძე ჭელიძით შეცვალა, რომელმაც მოედნის შუაში დაიკავა ადგილი, ბობოხიძე კი გოცირიძით.

არველაძის შეცვლებმა შედეგი 61-ე წუთზე მოიტანა. ჩვენმა ახალგაზრდებმა ჯერ ერთი კუთხური ჩააწოდეს გაბულოვის კარისკენ, მაგრამ მცველებმა ბურთი ისევ კუთხურზე გადააგდეს და ძალიანაც შეცდნენ... ახალაიას მეორედ ჩაწოდებულს ციმაკურიძემ მიაყოლა თავური, მეკარის ბაქანზე სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთში აირია, საბოლოოდ ბურთი შორეულ ძელთან აღმოჩნდა და გოცირიძემაც შეაგდო.

თამაში ისევ დუნედ, მონოტონურად გაგრძელდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ორივე გუნდი ფრეზე ყაბულს იყო, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. მოულოდნელად კი დაუღალავმა არშავინმა იაქტიურა, მოედნის ცენტრიდან საჯარიმომდე წაიღო ბურთი, პირველი დარტყმული მამალაძეს მოარტყა, მეორედ კი კარს ზუსტად დაუმიზნა — 2:1. თითქოს არაფერი შეცვლილა, საქართველომ ერთი კი სცადა შეტევა, მაგრამ რუსეთი „მედგრად“ დახვდა. ანგარიში 86-ე წუთზე შეიცვალა: მეორე ტაიმში ნახევარდაცვიდან წინ წაწეულმა გამეზარდაშვილმა საჯარიმოდან მოგერიებული ბურთი თავით ახალაიას გადაუგდო, რომელმაც სისწრაფეში დაჯაბნა როგოჩი და გაბულოვს მარცხენა დაბალ კუთხურში გაუტანა — 2:2, საქართველომ მეორედ გაათანაბრა, თუმც... როცა ახალაიამ გაიტანა, იმ დროისთვის შვეიცარიაში ირლანდია უკვე 2:0-ის იგებდა, რაც რუსეთისთვის ავისმომასწავებელი იყო. ირლანდიელთა მოგებისას ხომ რუსებისთვის ჩვენთან მატჩს აზრი ეკარგებოდა. მასპინძლებმა 90-ე წუთამდე „შეინარჩუნეს“ კიდეც ქართველებთან ფრე და როცა შვეიცარიაში მატჩი ირლანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა, სწორედ მაშინ ვინოგრადოვი მამალაძესთან პირისპირ დარჩა — 3:2. სხვათა შორის, „ტორპედოზე“ შეკრებილი 1000-მდე მაყურებელი ნამატჩევს გაოცებული იყო და კითხულობდა — რატომ მოიგო რუსეთმა, მათ ხომ ფრე აწყობდათ? კითხულობდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ ირლანდიას მოგებული ჰქონდა.

მატჩის შემდეგ რუსი ჟურნალისტების კითხვაზე, რატომ მოიგო რუსეთმა, ორივე გუნდის მწვრთნელმა, როგორც ხდება-ხოლმე, უპასუხა, ფეხბურთელებისთვის იმის თქმას, მატჩი ფრედ უნდა დამთავრდესო, აბა, როგორ ვიკადრებდით. არადა, ამ სიტყვებამდე ჩერნიშოვმა ასე თქვა:

— საქართველომ თბილისურ მატჩზე უკეთ ითამაშა, ჩვენ — უარესად. ბევრი შეცდომები გვქონდა. რა თქმა უნდა, მოსაგებად ვიყავით განწყობილნი, თუმც ქვეცნობიერად, მაინც შვეიცარია — ირლანდიის თამაშზე ვფიქრობდით.

დასკვნები თავად გააკეთეთ...

დღეს იგივე იქნება? ვიმედოვნოთ, რომ არა!



ანდრეი ჩერნიშოვი



რევაზ არველაძე

**შვეიცარია 0:2 ირლანდია**

0:1, 0:2 უოლტერსი (61, 74)

| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 6 | 1 | 1 | 12:6 | 19 |
| რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:8 | 15 |
| ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 10 |
| ირლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

საფრანგეთი — ისრაელი *დღეს*
კვიპროსი — სლოვენია *დღეს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 12:0 | 19 |
| კვიპროსი | 7 | 4 | 0 | 3 | 8:5 | 12 |
| ისრაელი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:9 | 10 |
| სლოვენია | 7 | 2 | 3 | 2 | 4:3 | 9 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 0:13 | 1 |

### II ჯგუფი

ბოსნია 0:3 დანია
ნორვეგია 5:0 ლუქსემბურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 1 | 1 | 19:4 | 19 |
| დანია | 8 | 6 | 1 | 1 | 24:3 | 19 |
| ბოსნია | 8 | 4 | 1 | 3 | 6:10 | 13 |
| რუმინეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:7 | 7 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 0:31 | 0 |

### III ჯგუფი

ავსტრია 0:2 ჩეხეთი
ჰოლანდია — მოლდოვა *დღეს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 17:4 | 18 |
| ბელარუსი | 8 | 6 | 0 | 2 | 11:6 | 18 |
| ავსტრია | 8 | 3 | 2 | 3 | 5:8 | 11 |
| ჰოლანდია | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 1 | 6 | 3:14 | 1 |

### IV ჯგუფი

უნგრეთი 1:2 პოლონეთი
შვედეთი 3:2 ლატვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 24:6 | 20 |
| შვედეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:13 | 14 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 17:13 | 12 |
| ლატვია | 8 | 3 | 0 | 5 | 11:16 | 9 |
| სან მარინო | 8 | 1 | 0 | 7 | 8:29 | 3 |

### V ჯგუფი

გერმანია 1:0 ისლანდია
შოტლანდია 3:2 ლიტვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:6 | 13 |
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ლიტვა | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 9 |
| ისლანდია | 6 | 0 | 0 | 6 | 2:12 | 0 |

### VI ჯგუფი

სომხეთი 0:2 ესპანეთი
საბერძნეთი 0:1 ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:2 | 19 |
| საბერძნეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 12 |
| უკრაინა | 8 | 2 | 5 | 1 | 8:5 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:16 | 7 |
| სომხეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | 5 |

### VII ჯგუფი

თურქეთი 1:0 ინგლისი
პორტუგალია 4:1 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 18:5 | 22 |
| პორტუგალია | 8 | 6 | 0 | 2 | 20:11 | 18 |
| ინგლისი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:10 | 11 |
| სლოვაკეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9:16 | 6 |
| მაკედონია | 8 | 0 | 1 | 7 | 4:23 | 1 |

### VIII ჯგუფი

ბელგია 4:2 ესტონეთი
ხორვატია 0:1 ბულგარეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |

### IX ჯგუფი

იტალია 6:0 აზერბაიჯანი
უელსი 0:1 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 7 | 0 | 1 | 26:5 | 21 |
| სერბეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:8 | 19 |
| ფინეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| უელსი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:16 | 7 |
| აზერბაიჯანი | 8 | 0 | 0 | 8 | 0:22 | 0 |

## ინგლისი

II დივიზიონი. XIII ტური

ბრისტოლი 1:1 პიტერბრო
ჰარტლპული 1:1 შეფილდ უენსდი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XI ტური

ბრაუნშვაიგი 2:3 კიოლნი (მ)
ზანქტ პაული 1:1 დორტმუნდი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XI ტური

შტუტგარტი (მ) 3:0 ერფურტი
მაინცი (მ) 1:3 ვეჰენი
ჰოფენჰაიმი 2:0 ზაარბრიუკენი
ოფენბახი 1:0 კიკერსი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. X ტური

კამბური 2:0 აპელდორნი
ვეენდამი 3:2 ვენლო
გრააფსხაპი 2:1 ემენი
ექსელსიორი 1:2 ჰერაკლესი
მაასტრიხტი 2:2 სიტარდი
ეინდჰოვენი 1:1 ოსი
ჰაარლემი 1:1 იგლსი
დენ ბოსხი — დორდრეხტი *გადაიდო*

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

უოტერფორდი 3:3 შემროკი
დროჰედა 0:0 დუბლინი
შელბურნი — ბოჰემიანსი *გადაიდო*
სენტ პატრიკსი — ლონგფორდი *გადაიდო*

## რუსეთი

თასის 1/16 ფინალი

არსენალი 0:2 *შინიკი*



კობა ინასარიძე მოსკოვიდან

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

# რუსეთი – საქართველო

მოსკოვი. ლოკომოტივი. 11 ოქტომბერი. 20.30 საათი

*ხაჭაპური? არა, პელმენი სჯობს! ორი დღე რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზია საათში ერთხელ ატრიალებს კლიპს, სადაც სწორედ ასეთი კითხვა-პასუხი ისმის, ტელეეკრანზე ხაჭაპურის მსურველის ნალვლიანი სახე და მეპელმენე რუსის ანთებული თვალები ჩანს. კლიპი სარეკლამოა, OPT თავის მაყურებელს დღევანდელი მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს სთავაზობს და მათ ტელევიზორთან დარჩენას ურჩევს...*

# პელმენი VS ხაჭაპური

## კოლოსკოვმა და ჟორდანიამ ანგარიში იციან

## იარცევის ტაქტიკა: აფიქრეთ ქართველები საკუთარ ფეხებზე

**დიდ მოსკოვში** აჟიოტაჟი უკვე იგრძნობა, ქომაგთა შორის გაუთავებელი თხოვნა-მუდარაა, იქნებ, შაბათის მატჩის ბილეთი მომყიდოო. ჩვენი რუსი კოლეგები კი ისეთი ინტერესით ელიან საქართველოსთან მატჩს, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადებიან. ისე, რატომაც არა, რუსებისთვის პორტუგალიაში მოხვედრა ერთი თვის წინ ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც ახლა ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენა.

მასპინძლები დღევანდელი მატჩისთვის, როგორც ყოველთვის, მოსკოვიდან 20 კილომეტრში, პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს ცნობილ სანატორიუმში, ბორში არიან დაბინავებულნი, რომელიც ხელისუფლებამ ფეხბურთელებს უვადოდ და უფასოდ დაუთმო. ჩვენთვის რუსეთის ნაკრების ბორში მონახულება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, იქ შეღწევა მხოლოდ პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლის საშვითაა შესაძლებელი და მეორეც, აბა, მოსკოვი რომელი თბილისია, „მარშუტკა“ გააჩერო და...

გიორგი იარცევს საქართველოსთან მატჩის წინ ბორში განსაკუთრებული რეჟიმი დაუწესებია. არნახული სიმკაცრით თავად ფეხბურთელებიც გაკვირვებულნი ყოფილან. მწვრთნელის უნებართვოდ ნაბიჯის გადადგმაც კი ყველას ეკრძალება. იარცევი თურმე ასევე უჩვეულოდ ამზადებს ბიჭებს, გუნდში ფსიქოლოგიც მოუწვევია და მისთვის დღეში ერთი გაკვეთილი „მიუცია“.

საბოლოოდ არა, მაგრამ ძალიან დიდია შანსი, დღეს ვერ ითამაშოს რუსეთის ნაკრების ლიდერმა სმერტინმა, რომელიც შეკრებაზე ნაკრებს ინგლისიდან ტრავმირებული შეუერთდა და სრული დატვირთვით ჯერაც არ უვარჯიშია. გუშინაც ის თავისთვის, მოედნის ირგვლივ დარბოდა. მხარი აწუხებს სელტელ მოსტოვოის, თუმც სმერტინისგან განსხვავებით, იგი გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ალბათ ითამაშებს.

შორიდან გამოტანილ ხმებს თუ ვერწმუნებით, იარცევი დღეს ასეთი შემადგენლობით აპირებს თამაშს: *ოვჩინიკოვი; სენიკოვი, ონოპკო, იგნაშევიჩი, სოლომატინი; გუსევი, მოსტოვოი, ტიტოვი, კარიაკა; კერჟაკოვი, ბულიკინი.*

რუსი კოლეგების თქმით, შესაძლოა, იგნაშევიჩის ნაცვლად ფლანგზე ალდონინი ვიხილოთ, ხოლო გუსევის ნაცვლად — იზმაილოვი მარჯვენა ჰავბეკად.

ჟურნალისტები არც იმას გამორიცხავენ, რომ იარცევმა სხვა არჩევანი გააკეთოს და მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზოს.

შემადგენლობაზე ლაპარაკს შევეშვათ და ეს ვთქვათ: რაც მატჩი ახლოვდება, მით უფრო ხშირად ისმის: შესაძლოა, ტყუილად ვნერვიულობთ და კოლოსკოვსა და ჟორდანიას უკვე ყველაფერი მოფიქრებულ-გადაწყვეტილი აქვთო, ანუ თუ რუსეთი მოიგებს, მოიგებს მინიმალური ანგარიშით.

*გიორგი ოლტარჟევსკი, ყოველკვირეული „ფუტბოლის“ კორესპონდენტი:*

— სულაც არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირი ქართველ კოლეგებს უკვე მოელაპარაკა. ძალიან არ მსურს ამის დაჯერება, მაგრამ... თუ მოლაპარაკებაა, ეს მატჩის მეორე ტაიმში გამოჩნდება. ისე კი ვფიქრობ, რუსეთი იმ შემთხვევაში მოიგებს, თუ ხისტად, უხეშობის ზღვარზე ითამაშებს და მეტოქე ფეხბურთელებს დააშინებს, აგრძნობინებს, როცა არ გჭირდებათ, ნუ თამაშობთო. ხოლო თუ რუსეთის ნაკრებმა დაიწყო ტაქტიკური მომენტების გათვლა, მწვრთნელმა ფეხბურთელებს ამით გონება გადაუტვირთა, ქართველების დამარცხება შეუძლებელი არა, მაგრამ ძნელი კი იქნება. მაგრამ იარცევი გამოცდილი მწვრთნელია და მგონი, ფეხბურთელებს სწორედ ისეთ თამაშს დაავალებს, რომ ქართველები მოდუნდნენ და ფეხებს გაუფრთხილდნენ.



ვიაჩესლავ კოლოსკოვი და მერაბ ჟორდანია

[illegible] ფოტო

*მიხაილ მელნიკოვი, ენტევე:*

— როგორც ქართული ფეხბურთის ქომაგს, გამიხარდება, თუ ჟორდანია იარცევთან ტაქტიკურ დუელს არ წააგებს. თუმც ვეჭვობ, ასე იყოს. ჟორდანია, მისსადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მგონი დათმობს იარცევთან, რადგანაც ქართველი მწვრთნელი გამოუცდელია. ერთს ვისურვებ, ნაღდი თამაში ვნახოთ. სამწუხაროდ, საქართველოსაც და რუსეთსაც ევროპაში ისეთი რეპუტაცია აქვთ, რომ უკვე ყველას ჰგონია, მატჩი წინასწარ მოლაპარაკებულია. თუ ასეა, მაშინ სტადიონზე წასვლას აზრი არა აქვს, მაგრამ რა იცი, რა ხდება... ძალიან მესიამოვნება, თუ საქართველო, ისევე როგორც აპრილში, თავის ქვეყნის პრესტიჟისთვის ითამაშებს.

ასეთი მოსაზრება აქვთ რუს ჟურნალისტებს დღევანდელ მატჩზე. ისიც სათქმელია, რომ ისინი მაინც იმედოვნებენ, რომ პატიოსან თამაშს იხილავენ — მაშინ ძალიან ვნერვიულებთ, საქართველო საქართველოა, ამ გუნდს შეუძლია არაფრისგან ყველაფერი შექმნას. ჩვენი ბიჭები ფრთხილად უნდა იყვნენ — ასე ფიქრობენ კოლეგები.

საქართველოს ნაკრებში კი სიმშვიდეა. მერაბ ჟორდანიამ გუნდი გუშინ შვიდი საათიდან „ლოკომოტივის“ სტადიონზე ავარჯიშა.

ვარჯიშმა საათნახევარს თავსხმაში გასტანა. უჩვეულო და ახალი არაფერი გვინახავს, ერთი კი შევნიშნეთ, დღეს რუსთა კარს სავარაუდოდ აშვეთია-დემეტრაძის წყვილი შეუტევს. ჟორდანიამ შემადგენლობაზე ლაპარაკი არ ისურვა, რუს ჟურნალისტთა კითხვას კი, ალბათ მოსკოვს მოსაგებად ჩამოხვედითო, ქართველთა მწვრთნელ-პრეზიდენტმა ასე უპასუხა: „ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი სამი ქულა არაა, მთავარია მაყურებელს გამართული და ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ“.

ჟორდანიას პასუხმა, მართალი გითხრათ, რუს-ქართველი ჟურნალისტები გაგვაკვირვა.

ის, რომ „ლოკომოტივზე“ დღეს ანშლაგი იქნება, ნაღდია, თურმე რამდენიმე ბილეთი გადამყიდველებს შერჩენიათ და გუშინ საღამოს ერთი ბილეთის ფასმა ათას დოლარსაც უწია. ვარაუდობენ, რომ სტადიონზე მოსკოვში მცხოვრები 10 ათასი ქართველიც იქნება. ტემპერატურა, სინოპტიკოსების ცნობით, 5-9 გრადუსი იქნება და ჩრდილო-დასავლეთის საკმაოდ ძლიერი ქარი დაუბერავს. ასევე იყო გუშინაც.

ბოლოს, დღევანდელ მატჩს ავსტრიელი კონრად პლაუცი იმსაჯებს. ამ არბიტრს რუსთა სამი თამაში განუსჯია. პლაუცი იყო მსაჯი რუსეთ — სლოვენიის ახალგაზრდულ გუნდთა მატჩისა, რომელიც 0:1 დასრულდა, ავსტრიელმა იმსაჯა „სპარტაკი“ — „ლივერპული“ — 1:3 და იუგოსლავია — რუსეთი 0:1.



ანდრეი კარიაკა, როლან გუსევი და დმიტრი ბულიკინი, სავარაუდოდ, რუსთა სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან



დღეს „ლოკომოტივზე“ ერთი ცარიელი ადგილიც არ იქნება

# მამამ შვილს რა უნდა ასწავლოს?!

**ბასულ** უქმეებზე არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა" სეზონში პირველი მარცხი იწვნია — შინ წააგო „სელტიკთან", მაგრამ სექტემბერში „რეინჯერსმა" ყველა თამაში მოიგო შოტლანდიურ თუ ევროსარბიელზე, ჰოდა, შემოდგომის პირველი თვეც ბარაქიანი გამოდგა ზურა ხიზანიშვილისთვის და შოთა არველაძისთვის.

თუმც ჯერ „ჩაფრების" მენეჯერ ალექს მაკლიშზე ვთქვათ — ის შოტლანდიაში სექტემბრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. „უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, წლის საუკეთესო მენეჯერის ჯილდო რომ მრგებოდა — ეს იმის დასტური იქნებოდა, რომ ჩვენ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოვიგეთ. მიუხედავად ამისა, ეს პრიზიც მშვენიერია და მას კლუბსაც ვუნაწილებ".

შოტლანდიური პრემიერლიგის მთავარმა სპონსორმა „BANK OF SCOTLAND"-მა სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად არველაძე აღიარა, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ ხიზანიშვილი. მაკლიშიც ორივე ქართველზე ალაპარაკეს: „ყველასთვის ნათელია, რომ არველაძე წინა სეზონთან შედარებით უკეთ თამაშობს და ეს ჯილდო მართლაც დაიმსახურა. რაც შეეხება ხიზანიშვილს, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. თუმც ზკრა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და შეცდომები ექნება, მაგრამ გამოცდილების მატებასთან ერთად ისინი დაიკლებენ".

გაზეთი „ივნინგ თაიმზი" კი იუწყება, რომ არველაძეს მალე კონკურენტი გამოუჩნდება „რეინჯერსში" — მისივე ვაჟი გიორგი. საქმე ისაა, რომ შოთამ ექვსი წლის გიორგი „აიბროქსის" ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში შეიყვანა. „ვცადე, გიორგისთვის რაღაცეები მე თვითონ მესწავლებინა, მაგრამ სჯობს ის მწვრთნელების ხელში იყოს. გაკვეთილები დიდი თავშესაქცევია ბავშვებისთვის, რაც ეხმარება მათ ისწავლონ, თუ როგორ იმუშავონ დაოსტატებისთვის უსაფრთხო და მხიარულ გარემოში" — უთქვამს შოთას „ივნინგ თაიმზისთვის".



შოთა არველაძემ შვილი (შუაში) „ჩაფრებს" ჩააბარა

*გუშინ შპს „კროკომ" რიგით მესამე, მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესი მოიგო და დიდი ნაბიჯიც გადადგა სამართლიანობის აღსადგენად.*

*შევნიშნოთ, რომ „კროკოს" ბრალდება თავდაპირველად ლიცენზირების დარღვევისთვის წაუყენეს. სწორედ ამას მოჰყვა საქმეში სხვა მუხლების „ჩაკერება", ჩხრეკის განკარგულება „კროკოს" ოფისებში და გაუთავებელი სასამართლო პროცესები. ამ ყველაფერმა კი ჩრდილი მიაყენა „კროკოს" საქმიანობას. შეფერხდა ორგანიზაციის მუშაობა. კროკოელებმა მორალურთან ერთად მატერიალური ზარალიც მიიღეს.*

*გუშინ კი გაირკვა, რომ „კროკო" მართალი ყოფილა ლიცენზირების საკითხში. საოლქო სასამართლომ ფინანსთა სამინისტრო გაამტყუნა და „კროკოს" სალიცენზიო საქმიანობას დარღვევის ბრალდება მოუხსნა. გუშინდელი სასამართლო სხდომის შემდეგ „კროკოს" გენერალურ დირექტორს დიმიტრი აბესაძეს ვესაუბრეთ*



# კროკო მართალია!
## საოლქო სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს არ დაუჯერა

— ყველაფერი ლიცენზირების გამო დაიწყო. ჩვენ ბრალი წაგვიყენეს სალიცენზიო საქმიანობის დარღვევაში. საქმიანობისთვის გვქონდა ერთი ლიცენზია. შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ გვაცნობა, რომ საჭირო იყო ლიცენზიები დანარჩენ ფილიალებზეც. ჩვენ კანონმორჩილები ვართ და რადგან ასეთი დირექტივა მივიღეთ, დაუყოვნებლივ შევუდექით ლიცენზიების აღებას. დაგვიგროვდა შვიდი ლიცენზია, ჩვენი გაოცება გამოიწვია იმან, რომ თითოეული ლიცენზია ერთი და იგივე მისამართზე იყო გაფორმებული. ბუნებრივია, ეჭვი გაგვიჩნდა და ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს ვაცნობეთ, ოფიციალურ წერილში ისიც კი ვიკითხეთ, უნდა გაგვეგრძელებინა თუ არა ლიცენზირების პროცესი სხვა ფილიალებზეც.

*ნაწყვეტი ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა ჟვანიას საპასუხო წერილიდან: „ტოტალიზატორის თითოეული ადგილი ექვემდებარება ლიცენზირებას, რასაც ადასტურებს შპს „კროკოს" მიერ სხვადასხვა პერიოდში აღებული სხვადასხვა მისამართზე გახსნილი ტოტალიზატორების ფუნქციონირებისთვის საჭირო შვიდი ლიცენზია."*

*მოკლედ, ჟვანიამ კროკოელებს მისწერა, რადგან შვიდი ლიცენზიაც აგიღიათ, ესე იგი, ეს პროცესი არ უნდა შეწყვიტოთო.*

*დიმიტრი აბესაძე:*

— ამის შემდეგ მივხვდით, რომ ფინანსთა სამინისტრო, ფაქტობრივად, გვატყუებდა, ამიტომაც ჩვენ შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში და საქმეც მოვიგეთ. საოლქო სასამართლოს სხდომაზე, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელიც ესწრებოდა, კოლეგიამ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და სალიცენზიო საქმიანობის დარღვევის ბრალდება მოგვიხსნა.

**— ეს იმასაც ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრომ ზედმეტი ექვსი ლიცენზიისთვის გადახდილი თანხა უნდა დაგიბრუნოთ?**

— რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება ამასაც ითვალისწინებს.

*მოკლედ „კროკომ" გუშინ გაიმარჯვა, თუმც გამოძიება კვლავაც გრძელდება. მეტიც, საგამოძიებო ჯგუფმა ხუთ ოქტომბერს ამოწურული საგამოძიებო ვადა ორი თვით გაიხანგრძლივა, თუმც ამთავითვე უნდა ითქვას, „კროკოს" მიერ გუშინ მოგებული სასამართლო პროცესი წესით, საქმის დახურვის საწინდარი უნდა გახდეს.*

გუშინვე შევეხმიანეთ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელ *აპოლონ დანელიას.*

**— ბატონო აპოლონ, საოლქო სასამართლომ ლიცენზირების საკითხში „კროკო" გაამართლა, რა კორექტივებს შეიტანს ყოველივე ეს გამოძიების მუშაობაში?**

— პირველად თქვენგან მესმის ამის შესახებ...

**— საოლქო სასამართლოში რამდენიმე საათის წინ დასრულდა სხდომა და ორივე მხარის თანდასწრებით სასამართლო კოლეგიამ „კროკოს" სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.**

— თუ ასეა, ფინანსთა სამინისტროს ერთი თვე აქვს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებისთვის.

**— თუ ფინანსთა სამინისტრომ არ გაასაჩივრა საოლქოს ვერდიქტი, ანაც უზენაესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა, მაშინ როგორ იმოქმედებს საგამოძიებო ჯგუფი?**

— ჩვენ კანონმორჩილები ვართ. ობიექტურ გადაწყვეტილებას მივიღებთ და მეორე დღესვე მოვუხსნით „კროკოს" ბრალდებას ლიცენზირების საკითხში.

**პაატა კვანტალიანი**

# ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
## შესარჩევი ტურნირი (ესტონეთი). II ტური

**საქართველო 0:1 იტალია**

**საქართველო (სასტარტო): ჩალაძე, გიგაური, კალაძე, ქელიძე, მიქიაშვილი, გრიგალაშვილი, ფიფია, კანკავა, გენაძე, იაშვილი, ელიავა**

**მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი**

**საქართველოს** ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის 2004 წლის შესარჩევ ჯგუფში ჩარჩა. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ესტონეთში მეორე მატჩიც წააგო. ამჯერად ჩვენებურებს იტალიამ 1:0 აჯობა.

ბოლო, არაფრისმომტანი მატჩი ჟორჟიკაშვილის შეგირდებს ხვალ მასპინძელ ესტონეთთან ელით, რომელიც გუშინ ჩვენს შემარცხვენელ ბელგიასთან 0:1 დამარცხდა.

ამგვარად, სატურნირო ცხრილს ბელგია-იტალია 6-6 ქულით ლიდერობენ. მესამეზე ბურთების უკეთესი სხვაობით ესტონეთია, საქართველო კი, ცხადია, ბოლო ადგილს არავის უთმობს.

ესტონეთში გამგზავრებამდე ჯგუფიდან გასვლისთვის მებრძოლი ქართველები სწორედ მასპინძლებთან ჯახში გაარკვევენ მაჩანჩალას ვინაობას.

**ბელგია 1:0 ესტონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# ნანა მოსულა

**თბილისის** „ლოკომოტივის" განელი თავდამსხმელი ნანა ეშონი გუშინ საქართველოში დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ ის „ლოკომოტივს" წინა ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე პერუელი ლუის ცაკარიასის მიწვევით შეუერთდა. ჩემპიონატი მწვრთნელმაც და ფეხბურთელმაც რკინიგზულ კლუბში ჩაამთავრეს და მერე ორივე გაუჩინარდა, თუმც განსხვავებული მიზეზებით: ცაკარიასი თავად „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ დაითხოვა, ნანამ კი გადაწყვიტა, შვებულება სამშობლოში გაეტარებინა, რაც ძალიან კი გაუგრძელდა. რკინიგზელები განელს საახალწლოდაც ელოდნენ, მაგრამ ამაოდ, ნანა ეშონი ოღონ გუშინ შეუერთდა „ლოკომოტივს".

ცნობილი გახდა ნანას დაგვიანების მიზეზიც. „ლოკომოტივის" შავკანიან ლეგიონერს ვიზის გასაკეთებლად გვარიანად უწვალია, თუმც საბოლოოდ საქმე მოუგვარებია და ვინძლო რკინიგზული კლუბის ყველაზე სუსტ რგოლს, თავდასხმას, რამე ეშველოს.

ნანა ეშონს „ლოკომოტივთან" კონტრაქტი 2004 წლის 1 თებერვლამდე აკავშირებს. ის რკინიგზელებს, ცხადია, მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის განაცხადშიც ჰყავთ შეყვანილი და არაა გამორიცხული, განელმა უახლოეს ტურებშივე ითამაშოს.

**კახა შალამბერიძე**



# მდიდარი ბიჭები და გარყვნილი გოგოები

## ჯოდი მორისს პასუხი კლუბშიც მოსთხოვეს

*„ლიდს იუნაიტედის“ 24 წლის ფეხბურთელი ჯოდი მორისი გუშინ კლუბის ხელმძღვანელთა საგანგებო კრებაზე დაიბარეს და ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს. კრებას ესწრებოდნენ „ლიდსის“ დირექტორატის წევრები, მწვრთნელი პიტერ რიდი და სხვა ჩინოსნები. მიზეზი: ორშაბათ ღამეს ქალაქ ლიდსში 20 წლის გოგო გააუპატიურეს, რაშიც ბრალი მორისს ედება*



ჯოდი მორისმა პოლიციასთან საქმე ვერ მოაგვარა

**„იუნაიტედის“** ხელმძღვანელობა აღშფოთებულია. თავმჯდომარე, პროფესორი ჯონ მაკენზი „გაოგნებასა და განრისხებას“ ვერ მალავს. იგი მართალია, ბიზნეს-მივლინებაში, იაპონიაშია, მაგრამ ტელეფონით სასაუბროდ რამდენიმე საათი გამონახა და „ლიდსი“ პოლიციისგან სრულიად დამოუკიდებლად აწარმოებს თავის გამოძიებას. მოგეხსენებათ, კლუბი ისედაც ვალებშია და ასეთი საშინელი ანტირეკლამა ნამდვილად უმძიმებს მდგომარეობას. თუ მორისის დანაშაული დამტკიცდება, არ არის გამორიცხული მორისი კაპიკის გადაუხდელად, კინწისკვრით გააგდონ.



ნაიჯელ რიო-კოკერი

შეგახსენებთ, რომ ეს კლუბი 2001 წელსაც გახვეული იყო პოლიციურ სკანდალში, მაშინ ფეხბურთელები, ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი აზიელი სტუდენტის ცემისთვის გაასამართლეს.

„ჩვენთვის მთავარია „ლიდს იუნაიტედის“ სახელი არ შეიბლალოს — განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა — თუ მორისმა დანაშაული კი არა, თუნდაც უბრალოდ ცუდი საქციელი ჩაიდინა, ჩათვალეთ, რომ კლუბიდან გაგდებულია. ფეხბურთელები კლუბების ელჩებად უნდა გრძნობდნენ თავს და არა მხოლოდ მატჩისას, არამედ დღე-ღამეში 24 საათის და კვირაში შვიდი დღის განმავლობაში“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ჯოდი მორისი და მისი ძმაბიჭი, 26 წლის კრისტოფერ დიკი 33 საათის განმავლობაში ჰყავდათ ლიდსის პოლიციაში საიდანაც გამოუშვეს, მაგრამ ვაგლახ, ისინი თავს თავისუფლად ჯერჯერობით ვერ იგრძნობენ.

პოლიციამ „ლიდს იუნაიტედის“ კიდევ ორი ფეხბურთელი დაკითხა, მაგრამ დაჭერით არ დაუჭერია.

მოგეხსენებათ, ლიდსში მომხდარი ამბავი ინგლისის ბოლოდროინდელ საფეხბურთო ცხოვრებაში ერთადერთი არ არის. ლიდსის ისტორიამდე ერთი ხნით ადრე ლონდონის „გროსვენორ ჰაუს ოტელში“ გააუპატიურეს 17 წლის გოგო და აქაც ბრალი ფეხბურთელებს ედებათ. თან ლონდონის დანაშაული გაცილებით სასტიკია. მასში დაზარალებულის თქმით შვიდი კაცი მონაწილეობდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით სიახლე ის გახლავთ, რომ ლონდონის პოლიციამ დააპატიმრა მავანი 27 წლის არაფეხბურთელი, რომელსაც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ჯეისონ ედვარდსი ჰქვია. დაპატიმრებულია 29 წლის ნიკოლას მეიკლიც, რომელიც პროფესიით ზეიმების მომწყობია და თავად გამოჩნდა, განაცხადა, რომ დაზარალებული მასთან (შემდეგ დასძინა, რომ მის მეგობრებთან) ნებით ატარებდა დროს. ერთი სიტყვით, ცხადი და ნათელი ჯერჯერობით არაფერია და სურათი ჯერ კიდევ ბევრჯერ რომ შეიცვალოს, გასაკვირი არაფერი იქნება.

ხოლო ორგიებში ნებით მონაწილეობის თემა სატელევიზიო ინტერვიუში 19 წლის ლონდონელმა ფეხბურთელმა, „უიმბლდონის“ ნახევარმცველმა ნაიჯელ რიო-კოკერმა განავრცო. მან განაცხადა, რომ ფეხბურთელებთან დროსტარებას უამრავი გოგო ეშურება და ისინი ბარებში ათასგვარი ხერხებით ცდილობენ მათი ყურადღების მიპყრობას. ეს გოგოები ბინძური ფრაზების თქმას და ამბების აღწერასაც კი არ ერიდებიან, ასე რომ, ახალგაზრდა, მდიდარ მოთამაშეებს მათ მოსახვეჭად თითის თითზე დადებაც არ სჭირდებათ. ორგიები ჩვეულებრივ უქმეებზე ეწყობა და გოგოები საკუთარი სურვილით მონაწილეობენ ზღვარგადასულ სცენებში. ნაიჯელ რიო-კოკერმა განაცხადა, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავთა უმეტესობამ უბრალოდ არ იცის ამდენ ფულს რა უყოს და ეს ძალიან აშკარაა.

**ბაჩუნა ძიდია**


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)

დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ

თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა:

დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49


### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### X ჯგუფი. შვეიცარია — ირლანდია

# კინმა საკბილო ნახა

## აბა, წავსულვართ პორტუგალიაში

**ირლანდიამ** გადამწყვეტი ომების მოგება იცის, ჭკუა ვასწავლოთ შვეიცარიელებს — ამ და მსგავსი შინაარსის ლოზუნგებით ამხნევებენ ირლანდიელები ტაბლოიდები თავიანთ ფეხბურთელებს. რობი კინს, დემიენ დაფს და სხვა გიჟმაჟ კუნძულელებს რთული ამოცანა აქვთ — მოგება ბაზელში, სტუმრად მეათე ჯგუფის ლიდერ შვეიცარიასთან.

„შვეიცარია ჩვენი საკბილოა, ჩვენ უფრო მეტი შანსი გვაქვს მოსაგებად — თქვა რობი კინმა და იქვე სანახევროდ წაიოხუნჯა ჟურნალისტებთან — თქვენ რა მოგება გინდათ? მხოლოდ ამ მატჩში გამარჯვებაა საჭირო ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად? აბა, წავსულვართ პორტუგალიაში!

უხასიათობას დანარჩენი „სამყურებიც“ არ უჩივიან, ყველა იმედიანადაა — დავანგრევთ მეტოქესო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ რობი კინმა გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა, ტოტენჰემელ მეგოლეს მუხლი აქვს შესიებული და ექიმები მის დატვირთვას მოერიდნენ, თუმც საგანგაშო არაფერია, კინი თამაშის დღეს მწყობრში იქნება, შვეიცარიელებს დაერევაო, ირწმუნებიან ირლანდიელთა ბანაკიდან.

ცოტა ხნის წინ საფეხბურთო ირლანდია შოკში ჩავარდა. შემტევ გარი დოჰერტის რაღაც ვირუსი შეეყარა და სისხლი მოეწამლა უეცრად, თუმც ოთხდღიანმა სტაციონალურმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო, დოჰერტიმ გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა და დღეს ძირითადშიც ელიან მის გამოჩენას. საუცხოო ფორმაშია გიჟმაჟი დემიენ დაფი, მას ბევრი რამ ძალუძს მოედანზე და შვეიცარიელები გამორჩევით უფრთხიან ამ თავყვითელა ბიჭს.

„სამყურათა“ მწვრთნელმა ბრაიან კერმა გუშინ კენი კანინგემის არყოფნაზე დაიწუწუნა — ირლანდიელთა ერთ-ერთი ბურჯი ტრავმირებულია და ბაზელში ვერ ითამაშებს.

საომარ განწყობაზე არიან მასპინძლებიც. შვეიცარიაში დღეს ყველას ახალგაზრდა ფორვარდ მარკო შტრელერზე აბოდებს. ამ ბიჭს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და შვეიცარიელები მის გაბრწყინებას დღესვე ელიან.

იაკობ კუნს შეკრებაზე ჰყავდა გუნდი ბაზელის მახლობლად და გუშინწინ საკონტროლო მატჩშიც გამოსცადა შეგირდები „ციურიხთან“. ნაკრებმა 3:0 მოიგო და სამივე გოლი სტანდარტული სიტუაციებიდან გავიდა „ციურიხის“ კარში. სხვათა შორის, იმ მატჩში შტრელერს თავი არაფრით გამოუჩენია.

დაბოლოს, ბაზელურ „წმინდა იაკობზე“ საამმატჩოდ ყველა ბილეთი გაყიდულია. ირლანდიელებს ოფიციალურად 3500 ადგილი ერგოთ, თუმც სამი ამდენი კუნძულელის სტუმრობას ელიან ბაზელში. ვინც თამაშზე ვერ მოხვდება, პაბებში შეეძლებათ ლუდთან ერთად ფეხბურთით სიამოვნება. თადარიგიანმა მასპინძლებმა ეს ფაქტორიც გაითვალისწინეს და შაბათს ბაზელური პაბები ირლანდიური სულით იქნება გაჟღენთილი. მენიუთი დაწყებული და მზარეულ-მუსიკოსებით დამთავრებული ყველაფერი ირლანდიური იქნება — სტუმრებმა შინაური ატმოსფერო უნდა იგრძნონო, ამბობენ შვეიცარიელები.

ემანდ, იაკობ კუნის ბიჭებს ძაან მასპინძლური მოედანზეც არ შეემთხვეთ...

**პაატა ძვანტალიანი**



დემიენ დაფი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი. ნორვეგია – ლუქსემბურგი; ბოსნია – დანია

## აჩუქეთ კაპიტანს ევროპა

ბოსნია-ჰერცოგოვინას ორი ვარიანტი აქვს: გამარჯვების შემთხვევაში პირდაპირ პორტუგალიის საგზური ერგება, ხოლო თუ წააგებს, ევრო 2004 გვერდზე დარჩება. მოკლედ, ბოსნიელები პლეი ოფში ვერ მოხვდებიან და ამიტომ დანიელებთან მატჩი, ფაქტობრივად, ფინალის ტოლფასია.

1984 წლის ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ სარაევოს ასეთი რიარია არ ახსოვს. ქალაქი და სრულიად ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობს. ისტორიული წარმატება ძალიან ახლოსაა, მაგრამ „ვიკინგთა" ძლევა იოლი საქმე არაა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეთა პირველი შეხვედრა კოპენჰაგენში მოსნიელთა მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა, მასპინძლები ილუზიებით არ იკვებებიან. 35-ათასიან „კოშევოს" სტადიონზე შეღწევის მსურველი ორ-სამჯერ მეტია და ცხადია, ყველა ბილეთს პატრონი ჰყავს.

დამხვდურთა მთავარი მწვრთნელი ბლაჟ სლიშკოვიჩი დღევანდელ მატჩამდე უკვე გმირად შერაცხეს. სანამ ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებდა, მან რთული გზა გაიარა. ეროვნული ნაკრები 2002 წელს ჩაიბარა და ზედიზედ ორ შესარჩევ შეხვედრაში პირწმინდად დამარცხდა, რუმინელებთან 0:3, ნორვეგიელებთან კი 0:2 დათმო.

სლიშკოვიჩი არ გატყდა. ფეხბურთელთა ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა, რადგან ყველა ღირსეულ მოთამაშეს იწვევდა, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა. ომით ნატანჯ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მან კარგი გუნდი შეკრა. გამოცდილებას ახალგაზრდა ნიჭიერი თაობა გვერდით ამოუყენა და კოპენჰაგენში დანიის ძლევით კრიტიკოსებს მოაკეტინა. „ბლაჟ სლიშკოვიჩმა და ბურთმა იქ იყოჩაღეს, სადაც პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა" — წერდა ერთ-ერთი იქაური გაზეთი.

ქალაქში შექმნილმა ატმოსფერომ ფეხბურთელებზე უარყოფითად არ იმოქმედოსო და მწვრთნელმა სამწყსო რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით დააბინავა. „ფაქტობრივად ვიმალებით, რათა „ვიკინგთა" დასახვედრად მაქსიმალურად ნაყოფიერად მოვემზადოთ. არადა, შესარჩევი ტურნირის დასაწყისში სერიოზულ მეტოქედ არავინ გვთვლიდა. საბოლოოდ ასეთი დამოკიდებულება წაგვადგა კიდეც და ახლა ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა".

ბლაჟ სლიშკოვიჩი დანიელთა ძალაში დარწმუნებულია: „შინაურ გარემოში ვთამაშობთ, მაგრამ მეტოქე უბრძოლველად გოჯს არ დაგვითმობს. მათ ფრეც გაახარებთ, ჩვენ კი სამი ქულა ჰაერივით გვჭირდება. აქცენტს შეტევაზე გავაკეთებთ, თუმც დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით ვითამაშებთ."

მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ და მათი კაპიტანი მირსად ჰიბიჩი იმედიანადაა: „მხოლოდ ერთი ნაბიჯი დაგვრჩა და ბოსნია-ჰერცოგოვინა ფეხბურთის ისტორიაში შევა. დანიას ერთხელ უკვე ვძლიეთ, თუმც ეს არაფერს ნიშნავს. დიდი ბრძოლა გველის. გულშემატკივრებს მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ".

მირსად ჰიბიჩს დღეს 30 წელი შეუსრულდება და მისივე თქმით, ევრო 2004-ის საგზურზე უკეთეს საჩუქარს ვერ ინატრებს.

პლეი ოფში მოხვედრის შანსი ნორვეგიასაც აქვს. მათი მეტოქე მაჩანჩალა ლუქსემბურგია. ნილს იოჰან სემბის გუნდი ალბათ იოლად გაუსწორდება მოწინააღმდეგეს, მაგრამ იმავდროულად ბოსნიელებმა დანიას ვერ უნდა სძლიონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადავა ნორვეგია მეორე ადგილზე, რადგან რუმინეთს პირად შეხვედრებში სჯობნის.

ოსლოში მასპინძლებს იონ კარეუ და ოლე გუნარ სოლსკიაერი დააკლდებათ. პირველი წინა შეკრებაზე იონ არნე რიისეს აუხირდა, რისთვისაც მწვრთნელმა ნაკრებიდან დროებით დაითხოვა. მანჩესტერელი ფორვარდი კი ტრავმირებულია და ამიტომ ვერ ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 21:9 | 14 |
| ბოსნია | 7 | 4 | 0 | 3 | 6:7 | 12 |
| ნორვეგია | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 11 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:20 | 0 |



ბოსნიელებს პორტუგალიამდე ერთი ნაბიჯი აკლიათ

III ჯგუფი. ავსტრია – ჩეხეთი
ჰოლანდია – მოლდოვა



კარელ ბრიუნეკი

## მიმიფურთხებია ნისტელროისთვის!

**ჩეხეთის** ნაკრებმა პორტუგალიის საგზური ჰოლანდიის ძლევით გაინაღდა. ავსტრალიასთან მატჩს კარლ ბრიუკნერისთვის მხოლოდ სარეკორდო ინტრიგა შემორჩა. ჩეხებს ზედიზედ 17 თამაში არ წაუგიათ და წარმატებული სერიის 18-მდე გაზრდა სურთ.

ვენის სტუმრებს ტრავმების გამო ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი დააკლდება: ტომაშ როსიცკი, მილან ბაროში, ვლადიმირ შმიცერი და დენეკ გრიგერა.

„ეს ერთი მხრივ ცუდია, მაგრამ სამაგიეროდ, სხვებს თავის გამოჩენის შანსს აძლევს" — თქვა ბრიუკნერმა.

ავსტრიის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო კარელ პობორსკი და ტომაშ იუფალუში ვერ ითამაშებენ. მათ ნაცვლად ნაკრებში „სლავიას" მცველი ადამ პეტრუშკას და „ტეპლიცეს" პეტერ ვორიშეკს უხმეს. ჩეხთა მწვრთნელი უკვე საპორტუგალიოდ ემზადება და ფეხბურთელების გასაგონად განაცხადა: „ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის მსურველთა შერჩევა აქედანვე იწყება. კონკურენციას ვინც გაუძლებს, მომავალ ზაფხულს პორტუგალიში ვიახლებ".

მასპინძლები „გრაცერის" დაშავებულ თავდამსხმელ როლანდ კოლმანს მოისაკლისებენ, რომელსაც „შტურმელი" მარიო ჰაასი შეცვლის. მცველი ანტონ ემანი კი დისკვალიფიცირებულია.

ჰოლანდიას ისღა დარჩენია, „ნარინჯისფერი" გულშემატკივრები ერთი ლაზათიანი გამარჯვებით გაახაროს და პლეი-ოფის წინ მოლდოვასთან გაივარჯიშოს. დიკ ადვოკაატის გუნდს პრაღაში „გაწითლებული" ედგარ დავიდსი და ასევე დისკვალიფიცირებული მარკ ვან ბომელი დააკლდებიან. რუუდ ვან ნისტელროის მწვრთნელმა ჩეხეთში გამართულ მატჩში საქციელი დაუწუნა და ნაკრებში გამოუძახებლობით დასჯა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ადვოკაატმა პრაღაში შეცვალა, რის გამოც ნისტელროიმ იფურთხა და იგინა.

მოლდოვას მწვრთნელმა ვიქტორ პასულკომ განაცხადა, რომ ჰოლანდიას ქულები არ სჭირდება და უმოტივაციო მეტოქეს ისეთ ბრძოლას გავუმართავთ, თავი სამუდამოდ დავამახსოვროთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 20:3 | 19 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| ავსტრია | 7 | 3 | 0 | 4 | 10:11 | 9 |
| მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 5:14 | 6 |
| ბელარუსი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:20 | 3 |

### ჩეხეთი

*მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (რენი, საფრანგეთი), ანტონინ კინსკი (ლიბერეცი);*

*მცველები: რენე ბოლფი (ბანიკი), მიროსლავ ჰოლენიაკი (ლიბერეცი), ტომაშ ჰუბშმანი (სპარტა), პეტრ იოჰანა (სპარტა), მარტინ ჟირანეკი (რეჯინა, იტალია), მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია);*

*ნახევარმცველები: ტომაშ გალაშეკი (აიაქსი, ჰოლანდია), პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია), რუდოლფ სკაჩელი (მარსელი, საფრანგეთი), ირჟი შტაინერი (ჰანოვერი, გერმანია), რომან ტისი (მიუნხენი, გერმანია), პეტრ ვორიშეკი (ტეპლიცე);*

*თავდამსხმელები: მარეკ ჰაინცი (ბანიკი), იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), სტეპან ვახოუშეკი (მარსელი, საფრანგეთი)*

IV ჯგუფი. უნგრეთი – პოლონეთი; შვედეთი – ლატვია

## ლატვიური სიმღერა: ძალა მომეც და იღბალი

**შესარჩევი** ტურნირის დაწყებამდე ლატვია ერთი ჩვეულებრივი ნაკრები იყო, რომელსაც პორტუგალიაში გამგზავრების ძალიან მწირი შანსი ჰქონდა. ახლა ბალტიისპირელები ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და სტოკჰოლმში შვედებს ეთამაშებიან. მასპინძლებმა ევრო 2004-ის ქუდი უკვე დაიხურეს და მათთვის დღევანდელი მატჩი ალბათ მხოლოდ სარეიტინგო ქულების დაგროვების საშუალებაა. ლატვიელები სტოკჰოლმში მოსაგებად ჩავიდნენ, რათა პლეი ოფი გაინაღდონ და მდევრები (პოლონეთი და უნგრეთი) პირში ჩალაგამოვლებულები დატოვონ.

ალექსანდრ სტარკოვის გუნდი რომ დამარცხდეს, ხოლო უნგრეთ — პოლონეთი ფრედ დასრულდეს, ბალტიისპირელები ამ შემთხვევაშიც მეორე საფეხურს დაეუფლებიან.

ლატვიელი ქომაგები დღევანდელი შეხვედრის მოლოდინში, ცხადია, ღელავენ, ნაკრებში კი მწვრთნელის თქმით, ყველა მშვიდადაა: „მე არ მაქვს დრო შექმნილი ატმოსფეროს გადმოსაცემად. მთელი ტურნირის მანძილზე ჩვენი საქმის ხარისხიანად კეთებას ვცდილობდი. ახლა ცხრილს ვუყურებ და ვხვდები, რომ ნამდვილად კარგად გვიშრომია".

სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დააკლდებათ: „საუთჰემპტონის" თავდამსხმელი მარიან პახარსი, მოსკოვის ცსკა-ს იურის ლაიზანსი და თელ ავივის „მაკაბის" ანდრეი პროხორენკო. მათ გარეშე ლატვიელებს გაუჭირდებათ, თუმც ალექსანდრ სტარკოვს ეს მაინცდამაინც არ აღელვებს: „ნაკრებში ყველა კარგ ხასიათზეა და საბრძოლველად მზადაა. ბიჭები მოედანზე უნდა გავიდნენ, საკუთარი ძალა ირწმუნონ და თუ ოდნავ იღბალიც მოგვეხმარება, ალბათ სასურველ შედეგს მივაღწევთ. შვედები, ცხადია, ფავორიტები არიან. ამიტომ ბიჭებს მაქსიმალური ყურადღებით თამაშს და თავდაუზოგავ ბრძოლას მოვთხოვ. მოედანზე ცივი გონებით მოქმედება გვმართებს. ფეხბურთელებმა პლეი ოფზე თუ იფიქრეს, შეიძლება, ფსიქოლოგიურად გატყდნენ. მასპინძლებიც მოსაგებად გამოვლენ. მათ რეიტინგისთვის ქულები არ აწყენთ, რადგან მომდევნო შესარჩევ ჯგუფში წილისყრისას იტალიისა და საფრანგეთის დონის მეტოქეები აიცილონ". შვედებს პრემიერლიგური მატჩისას დაშავებული „მეიოფე" ფრედერიკ ლიუნგბერგი დააკლდებათ.

ბუდაპეშტში უნგრეთი პოლონეთს დაუხვდება და მეტოქეები ცალ ყურს სტოკჰოლმისკენ მიაპყრობენ. ორივე გუნდს მხოლოდ მოგება სჭირდება. ფრის შემთხვევაში პლეი ოფისკენ გზას ლატვიას დაუთმობენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 19:2 | 17 |
| ლატვია | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:7 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:6 | 10 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:30 | 0 |

### I ჯგუფი

კვიპროსი – სლოვენია
საფრანგეთი – ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 26:2 | 21 |
| სლოვენია | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:16 | 7 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 5:24 | 1 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

V ჯგუფი. შოტლანდია – ლიტვა; გერმანია – ისლანდია

## შორს სეირი ასგეირისგან

### გერმანიას ნაცნობის ეშინია



ოლივერი კანი და რუდი ფიოლერი

**ჰამბურგში** უბრალო მატჩი არ გეგონოთ — გერმანიის ნაკრებს ქულაც ჰყოფნის პორტუგალიის ბილეთების დასაჯავშნად, მაგრამ ფრეზე თამაში ხომ ცეცხლთან თამაშია.

თანაც, თუ ბუნდესნაკრებს ყველა ტრავმიან ფეხბურთელს დავუთვლით, ათამდე ავალთ — დიტმარ ჰამანი, იენს იერემისი, სებასტიან დაისლერი, კრისტიან ციგე... ჩამონათვალში მიხაელ ბალაკს ვერ წააწყდებით, მაგრამ მისი მინდორზე გასვლა დღეს ერთობ საეჭვოა — ბალაკს ტერფი ისე აწუხებს, თითქმის ერთი კვირა სრულფასოვნად არ უვარჯიშია. არც რუდი ფიოლერს დაუტანებია ძალა, დაისვენოს და იქნებ ისლანდიის წინააღმდეგ გუნდს გამოადგესო.

მთლად ჯანზე ვერ არიან იენს ნოვოტნი და ბერნდ შნაიდერიც.

დანაკლისია ისლანდიელთა ბანაკშიც. ძალიან საეჭვოა „ჩარლტონის" მცველის ჰერმან ჰრეიდარსონის თამაში, ხოლო ძირითადის სამი ფეხბურთელი — ეინარსონი, გუდმუნდსონი და იოჰანე გუდიონსონი მინდორზე ვერაფრის დიდებით ვერ გავლენ.

ისლანდიას ეყოლება ძმები ტორდურ და ეიდურ გუდიონსონები, მაგრამ ნაკრების მთავარი კაცი ასგეირ სიგურვინსონი გახლავთ. მან ნაკრები მაისში ჩაიბარა, როცა გუნდს სამი თამაშიდან სამი ქულა ჰქონდა, თუმც სიგურვინსონის მწვრთნელობა რა მოსატანია — 80-იან წლებში ის „შტუტგარტის" ნამდვილი ლიდერი იყო, ტექნიკური და მოუღლელი პლეიმეიკერი, ალბათ ყველაზე სახელიანი ისლანდიელი ფეხბურთელი. სწორედ სიგურვინსონის ფრთის ქვეშ წამოიჩიტა „შტუტგარტში" იურგენ კლინსმანი.

| ზაუბერი | 75,0 |
| ბარ | 55,0 |
| ჯორდანი | 90.0 |
| ტოიოტა | 55.0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 300.0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტო[illegible] |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“-ის დებულება და მასში მონაწილეობის წესები

1. კონკურსის ჩატარების ვადაა 2003 წ. სექტემბერი — 2004 წ. მაისი;

2. კონკურსის მონაწილე წარმოადგენს ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებიდან და სათასო შეხვედრებიდან აღებული და საკონკურსო ბიულეტენში მითითებული მატჩების პროგნოზს;

3. მიიღება მხოლოდ კონკურსის ჩამტარებელ გაზეთებსა და ჟურნალში გამოქვეყნებული საკონკურსო ბიულეტენები (ქსეროქსზე გადაღებული, კომპიუტერზე ამობეჭდილი და ა.შ. ბიულეტენები კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ და ჩაითვლებიან ბათილად);

4. საკონკურსო ბიულეტენი შედგება **A** და **B** ნაწილისაგან;

*5. ერთნაირად შევსებული A და B ნაწილები კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ჩაბარების ადგილზე არა უგვიანეს საკონკურსო ბიულეტენზე აღნიშნული ვადისა, რის შემდეგაც მოხდება როგორც B (უნდა ჩაბარდეს), ასევე A (რჩება კონკურსანტთან) ნაწილის დამოწმება მიმღების მიერ;*

6. საკონკურსო ჟიური მონაწილის შედეგზე იმსჯელებს მხოლოდ დამოწმებული და ჩაბარებული ბიულეტენის **B** ნაწილის მიხედვით ჩაბარების ადგილზე მიმღები არაა ვალდებული, შეამოწმოს საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილების იდენტურობა. საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილებში მითითებული განსხვავებული პროგნოზის (ანგარიში, შედეგი) შემთხვევაში, პრეტენზიები არ მიიღება;

*7. საკონკურსო ბიულეტენის B ნაწილში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი (სასურველია საკონტაქტო ტელეფონი) გასარჩევი კალიგრაფიით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;*

8. ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად თუ:
— დარღვეულია დებულების მე-5 პუნქტი,
— დარღვეულია დებულების მე-7 პუნქტი,
— გადასწორებული ან გადაშლილია ბიულეტენის **B** ნაწილში რომელიმე მატჩის პროგნოზი (ანგარიში).

9. ყოველი ტურის (ეტაპის) წინასწარი შედეგები (პირველი 25 შედეგი) გამოქვეყნდება შემდეგი ტურის (ეტაპის) დაწყების წინ, პრეტენზიები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 1 კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც კონკურსანტის პროტესტი აღარ განიხილება და წინასწარი შედეგები (ტურის, ეტაპის) ჩაითვლება დამტკიცებულად;

*10. კონკურსი ტარდება 10 ეტაპად;*

*11. კონკურსის თითოეული ეტაპი შედგება 12 ტურისგან;*

*12. კონკურსის თითოეულ ტურში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს 8 მატჩის პროგნოზი - ანგარიშის მითითებით;*

*13. მონაწილეს საკონკურსო ტურებში შეუძლია წარმოადგინოს პროგნოზთა ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი (საკონკურსო ბიულეტენის ერთი B ნაწილი ითვლება პროგნოზის ერთ ვარიანტად), ამასთან, ჩაითვლება მხოლოდ ერთი — საუკეთესო ვარიანტი (კონკურსანტის შედეგი ტურში);*

*14. თითოეული მატჩის სწორი ანგარიშის გამოცნობისთვის მონაწილე მიიღებს 8 ქულას, შედეგის გამოცნობისთვის (ვერ გამოიცნო ანგარიში) 5 ქულას. გადადებული მატჩების შემთხვევაში (ტურში არა უმეტეს ორი მატჩისა) კონკურსანტს ჩაეთვლება ყოველ გადადებულ მატჩში შედეგის გამოცნობა. ორზე მეტი მატჩის გადადების შემთხვევაში, ტური გაუქმდება და დაინიშნება დამატებითი ტური;*

15. კონკურსის თითოეულ ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდება შვიდი საუკეთესო ტურის ქულათა ჯამის მიხედვით (ეტაპის თორმეტივე ტურში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში უარესი მაჩვენებელი არ ჩაითვლება და შეჯამდება მხოლოდ შვიდი საუკეთესო ტურის შედეგი);

16. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ეტაპზე გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მერვე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხრე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთერთმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთორმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია ორივე (სუყველა) კონკურსანტი ჩაითვლება ეტაპის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

17. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 6 საუკეთესო ეტაპის ქულათა ჯამის მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას ათივე ეტაპში, უარესი მაჩვენებელი არ ჩაეთვლება და შეჯამდება მხოლოდ 6 საუკეთესო ეტაპის ქულები);

18. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, კონკურსში გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მეშვიდე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მერვე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია გამარჯვებულს გამოავლენს ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 1 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, თუ იგი თანაბარია - ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 2 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, დ.ა.შ. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია ორივე (სუყველა) მონაწილე ჩაითვლება კონკურსის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

19. თითოეულ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ:
I ადგილი — 200 ლარი; II ადგილი — 100 ლარი; III ადგილი — 50 ლარი

20. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან:
I ადგილი — სატელიტური ანტენა
II ადგილი — პერსონალური კომპიუტერი „პენტიუმ IV“
III ადგილი — მუსიკალური ცენტრი **SONY**,
IV ადგილი — ტელევიზორი **SONY**,
V ადგილი — ვიდეომაგნიტოფონი **SONY**,
ამასთან, მე-6 - 25-ე ადგილზე გასულ კონკურსანტთათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრიზები.

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

**II ეტაპი, IV ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------
---------------------------------------------

**რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 14.10.03**

შტამპის ადგილი

**II ეტაპი, IV ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 14.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------
---------------------------------------------
მისამართი---------------------------------------
---------------------------------------------
---------------------------------------------
საკონტაქტო ტელეფონი ---------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | | 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | |
| 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | | 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | |
| 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | | 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | |
| 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | | 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | |
| 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | | 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | |
| 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | | 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | |
| 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | | 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | |
| 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | | 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | |

**II ეტაპი, IV ტური** — **II ეტაპი, IV ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | | 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | |
| 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | | 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | |
| 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | | 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | |
| 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | | 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | |
| 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | | 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | |
| 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | | 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | |
| 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | | 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | |
| 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | | 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | |

**II ეტაპი, IV ტური** — **II ეტაპი, IV ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | | 20.00 | 15.10 | ჰაპოელი თ-ა - გაზიანთეფი | |
| 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | | 20.30 | 15.10 | ჰაიდუკი - გრასჰოპერსი | |
| 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | | 21.00 | 15.10 | შახტარი - დინამო რუმ. | |
| 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | | 23.05 | 15.10 | კოპენჰაგენი - ფერენცვაროში | |
| 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | | 23.15 | 15.10 | ჟელეზნიჩარი - ჰართსი | |
| 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | | 23.15 | 15.10 | ბრედა - ნიუკასლი | |
| 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | | 01.00 | 16.10 | ბლექბერნი - გენჩლერი | |
| 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | | 20.30 | 16.10 | ტეპლიცე - კაიზერი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 15 ოქტომბერს)

**საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი**

## მომდევნო კვირის კალენდარი

13 ოქტომბერი — გაზეთი „ახალი ვერსია“, მე-2 ეტაპის მე-7 ტური სამ ვარიანტად (ჩემპიონთა ლიგა).
14 ოქტომბერი — ჟურნალი „ულტრა“, მე-2 ეტაპის მე-8 ტური სამ ვარიანტად (ჩემპიონთა ლიგა).
14 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-5 ტური ორ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები).
15 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-6 ტური სამ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები), 1 ეტაპის მე-11 და მე-12 ტურის წინასწარი შედეგები, 1 ეტაპის წინასწარი შედეგები.
16 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-5 ტური სამ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები), 1 ეტაპის მე-11 და მე-12 ტურის წინასწარი შედეგები, 1 ეტაპის წინასწარი შედეგები.
17 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-6 ტური ორ ვარიანტად (ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები).
18 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის 1, მე-2, მე-3 და მე-4 ტურის წინასწარი შედეგები, კონკურსის დებულება, მომდევნო კვირის კალენდარი.

[illegible]

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი“, მინისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გაღახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## ავსტრალია 24:8 არგენტინა

10 ოქტომბერი. სიდნეი. «ტელსტრა სთედიუმი» 15:30

# პირველი იყო ავსტრალია

ავსტრალია: როჯერსი, სეილორი, ბერკი, ფლეტლი, როფი (ტუკირი), ლარკემი (ფიტო), გრეგანი (კაპ) (ვიტეკერი); ლაიონსი, ვუ, სმიტი (კოქბეინი), შარფი, გიფინი (ვიკერმანი), ბაქსტერი (დარვინი), ქენონი (პოლი), იანგი

2 ლ: სეილორი, როფი; 1გ: ფლეტლი; 4ს: ფლეტლი

არგენტინა: კორლეტო, პიოსეკი, მ. კონტეპომი, ორენგო, ალბანესე, ფ. კონტეპომი, პიჩო (კაპ); ლონგო, მარტინი, პელანი (დიურანი), ალბასეტე, ლოვე, ჰასანი (რეჯიარდო), ლედესმა, გრაუ

1ლ: კორლეტო; 1ს: ფ. კონტეპომი

მსაჯი: პოლ ჰონაისი (ახალი ზელანდია)

ტიტულის დაცვა ორგზის ჩემპიონმა მასპინძლებმა მართალია არადამაჯერებელი, მაგრამ მაინც გამარჯვებით დაიწყეს. ეს მართლაც ვერ იყო ის თამაში, რამაც „ვოლაბთა" დავლათიან ნაკრებს ოთხი წლის წინ ფრანკობრიტანულ კორიდორებზე უებ ელისის თასი მეორედ მოახვეჭინა.

შეკრული და კარგად ორგანიზებული „პუმების" მოსადრეკად ოზებს კაი ძალი გარჯა დაჭირდათ და ალბათ უფრო დიდი წნეხის ქვეშაც მოექცეოდნენ, არგენტინელთა ათ ნომერ ფელიპე კონტეპომის ოთხი საჯარიმო დარტყმა და ერთი არეკნი რომ არ გაეცუდებინა.

„ეს მართლაც ხამუშ-ხამუშა თამაში იყო, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გამარჯვებით დავიწყეთ — ამბობდა ნამატჩევს „ვოლაბთა" კაპიტანი ჯორჯ გრეგანი — რამდენჯერმე გადამწყვეტ მომენტში შევცდით და კარგი შანსები დავკარგეთ, განსაკუთრებით ბოლო პასებს ვაფუჭებდით... ერთი სიტყვით — რიგიან გუნდთან მძიმე შეხლაში ვიმარჯვეთ. ამ მოგებამ მთელი დანარჩენი ტურნირისთვის კარგი განწყობილება უნდა შეგვიმარაგოს."

კაპიტანს ეშხიანი მარჯვენა გარემარბი, ტურნირის პირველი ლელოს გამტანი ვენდელ სეილორიც უბამდა მხარს — სტადიონზე გადასარევი ატმოსფერო იყო, მაგრამ ძალიან აჭრილად ვითამაშეთ: „ბედნიერი ვარ, ლელო რომ გავიტანე, მაგრამ ის კი ნამდვილად არ მეამაყება, მეტოქემ ჩემი ფრთიდან რომ დაამიწა."

არგენტინელთა კაპიტან აგუსტინ პიჩოს სამართლიანი აზრით კი, მართალია არგენტინელები თავად კიდევ უფრო მეტს მიჰქარავდნენ, მაგრამ მათ მაინც არ მისცეს მასპინძლებს იმის საშუალება, რომ მათთვის თავზე გადაევლოთ.

მასპინძელთაგან შედარებით გაილალეს ტრავმირებულ ტუტაი კეფუს ნაცვლად მობურთავე დევიდ ლაიონზმა (8) და გამოცდილმა ათმა ნომერმა სტივენ ლარკემმა. სწორედ მათ ინდივიდუალურ გარღვევებს მოჰყვებოდა „ვოლაბთა" ის მრავალფაზა შეტევები, რომლებიც მეტოქის ლელოზე სახიფათო მიძალებითა და საჯარიმოებითაც გვირგვინდებოდა.

სწორედ ორი ზუსტი საჯარიმოთი შეძლო ელტონ ფლეტლიმ (12), სადღაც მე-15 წუთისთვის ოზები 6:0 დაეწინაურებინა. ამ დროისთვის უკვე გარკვეული იყო ის, რომ სტუმართა ათი ნომერი ფელიპე კონტეპომი — როგორც ზემოთვე გაუწყეთ — იმ დღეს თავისიანებს ბევრით ვერაფრით რომ დაეხმარებოდა და კიდევ ისიც, რომ ჰუკერი მარიო ლედესმა ბურთის უხეიროდ მოწოდების გამო მთელი მატჩის განმავლობაში არგენტინელთა აუტებს ისევ მასპინძლებს ჩააბარებდა.

სწორედ ამის გამო იყო, სტუმრებმა „ვოლაბთა" ნახევარზე ფეხი რომ ვერ მოიკიდეს და მართალია, გადამწყვეტ ფაზაში ოზებს ხშირად ღალატობდათ სიზუსტე, მაგრამ ერთი მრავალფაზა შეტევა მაინც საუცხოო ლელოთი გაასრულეს. თავის ფრთაზე დაბურთიანებულმა ვენდელ სეილორმა მიჯრით ჩამოიცილა გონსალო ლონგო (8), პიჩო და პატრისიო ალბასეტე (5) და ანგარიშის სხვაობა უკვე 11-მდე აიყვანა.



ტურნირის პირველი ლელო ვენდორ სეილორ[illegible]ისა იყო

REUTERS სიდნეიდან

ამის შემდეგ „პუმებს" ათი წუთი კაცნაკლულად თამაში მოუხდათ, რაკილა მანუელე კონტეპომიმ (13) ბურთის დასაჭერად შემხტარი მეტ როჯერსი (15) ჰაერშივე შებოჭა და თავი გაისინბინა.

ტაიმის ბოლომდე კი მანუელეს ძმამ, ფელიპემ — როგორც იქნა — ერთი საჯარიმო მაინც შეაგდო, თუმცა ზედ შესვენების წინ ფლეტლიმ თავისიანები კვლავ 11-ქულით დააწინაურა.

მეორე ნახევარი მასპინძელთათვის უსიამოვნო ამბით დაიწყო — ბურთისთვის შემხტარი მეორეხაზელი დევიდ გიფინი მიწაზე კისრით დაეცა და მოედნიდან მანქანით გასაყვანი [illegible].

მერე კი იყო ერთფეროვანი ორთამოცწუთეული, რომლის დროსაც ოზთა ნახევარზე [illegible] „პუმებმა" [illegible] ერთხელ 72-ე წუთზე [illegible] — მათი [illegible] კორ[illegible] დაავ[illegible].

და როცა შე[illegible] ხელახალი სიმძაგით უნდა [illegible] „ვოლაბთა" მომდევ[illegible] ლარკემის შემცვ[illegible] სტუმრების შე[illegible] დაცვა უშ[illegible] რაკილა ბურთი [illegible] ელტონ ფლეტ[illegible] ალიზება ალარ [illegible].

**ლევან ძელაურიძე**

## საქართველო VS ინგლისი

12 ოქტომბერი. პერთი. «სუბიაკო ოვალი» 17:00

# აქ შემთხვევით არ ვართ

## ილო ზედგინიძემ ინგლისი გაშიფრა

ხვალ საქართველოს ნაკრები საქვეყნოდ დაგუგუნებულ „დიდებაზე" დადგება და ისტორიულ მატჩს გამართავს ინგლისთან. მსოფლიოს თასზე მონაწილე 20 ნაკრებიდან ბორჯღალოსნები ერთადერთი დებიუტანტები არიან და ბევრი მიაპყრობს მზერას. ხალხი გაიგებს, რომ არის ასეთი ქვეყანა.

ჩვენები დღეს ბოლოჯერ მოითელებიან მსოფლიოს თასის წინ. მათთვის ხვალ დაიწყება ეს ფიესტა და თანაც ვისთან, ვეშაპ ინგლისთან.



კლოდ სორელმა გუშინდელი ვარჯიში ბორჯღალოსანთა რიგით მეთორმეტე კაპიტან ვასილ კაცაძეს ჩაატარებინა

**ამ ვეშაპს** ჩვენები ხახაში ვერ გაეჩხირებიან, თუმცა კლოდ სორელის სამწყსო მთელი სულით და გულით ემზადება სახვალიოდ. მსოფლიოს თასის ოფიციალურ გახსნაზეც კი არ ჩავიდნენ სიდნეიში, გზა მოგვაცდენდაო, გვითხრა გშინ ბორჯღალოსანთა ტრავმირებულმა კაპიტანმა ილო ზედგინიძემ. თუმც ჩვენებს სიდნეიში ჩაუსვლელობით მაინცდამაინც არ დასწყვეტიათ გული, რაკი მანამდე პერთში, სადაც ქართველები ჯგუფის სამ მატჩს გამართავენ, ჯგუფის ხუთივე ნაკრების მონაწილეობით გახსნის მცირე მცერემონია მოეწყო.

ყველა მორაგბეს საგანგებოდ საამტურნიროდ დამზადებული კეპები დაურიგდათ და ხუთივე ნაკრების კაპიტნებმა სიმბოლური ფოტოც გადაიღეს.

ბიჭები კარგ ხასიათზე არიან — გვეუბნება ილო ზედგინიძე — დღეს საღამოს „სუბიაოო ოვალზე", სადაც ინგლისთან მატჩი გვექნება, ვარჯიში გვქონდა, ბიჭებმა საათნახევარი ხუმრობაში გაატარეს. მე ინგლისთან ვერ ვითამაშებ და ჩემს არყოფნაში კაპიტანი ვასილ კაცაძე იქნება. საღამოს ვარჯიში სწორედ ვასკამ წაიყვანა. ეს პრაქტიკა დიდ ნაკრებებში მიღებულია. მერე კაპიტანს მოედანზე უადვილდება თანაგუნდელებთან ურთიერთობა. ვარჯიშით სორელი კმაყოფილი დარჩა. ბიჭები ახლა ყინულის პროცედურებს ღებულობენ.

**— შენ როდის შეძლებ თამაშს?**

— დღეს სრული დატვირთვით ვივარჯიშე, მაგრამ სათამაშოდ ჯერ მზად არ ვარ. ალბათ სამხრეთ აფრიკასთან მატჩსაც გამოვტოვებ. სამოასთან და ურუგვაისთან კი აუცილებლად ვითამაშებ.

**— ინგლისთან რომ წააგებთ, თქმა არ უნდა, მაგრამ...**

— ვიცი, რაც გაინტერესებს. ჩვენი მიზანია, ინგლისს რაც შეიძლება ნაკლები ქულა გავატანოთ, ჩვენ კი მაქსიმალური რაოდენობა მოვიპოვოთ. პირველივე წუთიდან უნდა შევასკდეთ მეტოქეს, თორემ ინგლისმა თუ გაილაღა, მერე ჯობია საერთოდ აღარ დაუდგე წინ. ირლანდიასთან მატჩმა ბევრი რამ გვასწავლა, ახლა უკვე ვიცით, როგორ ვეთამაშოთ ბრიტანულ გუნდებს. ინგლისს რომ ღირსეულად ეთამაშო, ამისათვის მარტო ოსტატობა არ კმარა. ფიზიკურადაც ასოცი პროცენტით უნდა იყო მზად. ჩემი აზრით, დღეს ნაკრები ყველანაირად საუკეთესო ფორმაშია და ის დროა, სარაგბო მსოფლიოს ვათქმევინოთ, რომ საქართველო სარაგბო ქვეყანაა და აქ შემთხვევით არ ვართ.

**ბაჩო სვანიძე**



**საქართველო ინგლისთან**

15 ბესიკ ხამაშურიძე
14 მალხაზ ურჯუკაშვილი
13 თედო ზიბზიბაძე
12 ირაკლი გიორგაძე
11 ვასილ კაცაძე (კაპ)
10 პალიკო ჯიმშელაძე
9 ირაკლი აბუსერიძე
8 გიორგი ჩხაიძე
7 გრიგოლ იაშვილი
6 გია ლაბაძე
5 ვიქტორ დიდებულიძე
4 ზურაბ მჭედლიშვილი
3 ალეკო მარგველაშვილი
2 აქვსენტი გიორგაძე
1 გოდერძი შველიძე

**სათადარიგონი**

16 დავით დადუნაშვილი
17 სოსო ნიკოლაენკო
18 ვანო ნადირაძე
19 დავით ბოლღაშვილი
20 მერაბ კვირიკაშვილი
21 ირაკლი მაჩხანელი
22 ბადრი ხეხელაშვილი

# ივანე კრილოვის შოუ
## მეიგავე სტუდენტები დინამოსთან დაიჭრნენ

10 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**მაკაბი 98:112 ბასკო**

27:27, 20:29, 26:26, 25:30

მაკაბი: ნინოშვილი (14), წოწელია (36), კონჯარია (5), ვაშაკიძე (8), სუხიშვილი (27); ფილ[illegible]ხელაური (2), ოთიურიძე (6)

ბასკო: დ. ბერიშვილი (9), ბ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (13), ტუჯანი (1), ჩხატარაშვილი (20); კვიმსაძე (12), კუშელავა (11), ბოლქვაძე (12), იმნაძე (23)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**თსუ 67:91 დინამო**

14:14, 14:22, 21:27, 18:28

თსუ: თორთლაძე (3), მაისურაძე (8), ნაცვლიშვილი (15), კილაძე (7), შენგელია (12); ლეჟავა, მარხვაშვილი (5), სანიკიძე (6), ორმოცაძე (8), ფანჩულიძე (3)

დინამო: გამყრელიძე (4), ტულუში (9), ბეჟანიშვილი (11), მინაშვილი (9), მუშკუდიანი (19); ყლენტი (16), ლოსაბერიძე (21), ჩუბინიძე (2)

მსაჯები: ზაზა [illegible]ჰაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

რუსთავი

**რუსთავი 96:54 ქუთაისი**

23:8, 23:17, 21:14, 29:15

რუსთავი: ტყეშელაშვილი (10), ბერუაშვილი (9), დანელიანი (16), ჩაჩუა (5), არწივიძე (7) ჩხეიძე (8), ჯაფარიძე (7), გოგობერიშვილი (8), ჯიმშელეიშვილი (16), ლიპარტელიანი (10)

ქუთაისი: აკოლაშვილი (4), კორძაძე (5), ცერცვაძე (10), ნ. შანიძე (1), ნიჟარაძე (2) შავლაყაძე (11), პირტახია (13), ბადრიძე (4), ფურცხვანიძე (4)

მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ კელოვანი

**გუშინ** ვერის ბაღში ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი გაიმართა ჩემპიონ „დინამოსა“ და „კოკა-კოლას“ სპონსორობით მოკეთებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შორის. თუმც ამ შეხვედრას პირობითად თუ ვუწოდებთ ცენტრალურს, რადგან ბრძოლა და დაძაბულობა არ ახლდა ისეთი, ასეთი იარლიყის მქონე მატჩებს რომ ეკადრება.

თსუ-ელთა ოფიციალური სპონსორის რანგში მატჩს დაესწრო „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი ახლდა. მხოლოდ ამ ორი ადამიანის დარბაზში ყოფნაც საკმარისი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ სტუდენტებს ბოლომდე ებრძოლათ, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არ არის... დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი საკმაოდ შეკრულ-შეთამაშებულად გამოიყურებოდა, რასაც ვერ ვიტყვით გია ჯავახიშვილის სამწყსოზე.

ივანე კრილოვის „ლებედ, რაკ და შუკა“ ხომ წაგიკითხავთ, ეგრეა დღეს თსუ-ს საქმე. ამ იგავის გმირებს კაი ლამაზი ურემი კი გაუკეთებიათ, მაგრამ ვერა ძრავენ, რაკი ერთი წყალში მიათრევს, ერთი ცაში, ერთიც ხმელეთზე ექაჩება. თსუ-ც ძლიერი და გამოცდილი კალათბურთელების გუნდია, ეგაა, ჯერ ვერ შეთამაშებულან, დავით თორთლაძეს თავისკენ „მიაქვს“ თამაში, შენგელიას თავისკენ, იქით ორმოცაძე და კილაძე ჯახირობენ თავისას.

ასე იყო „დინამოსთანაც“. სტუდენტებმა გუნდური თამაში რომ ვერააწყვეს, ინდივიდუალური ოსტატობით სცადეს ხეირის პოვნა, მაგრამ რას იპოვიდნენ, იმას რაც დინამოელებს უკვე ჯიბეში ედოთ?!



ვერის ბაღში მნიშვნელოვანმა პირებმა შეიარეს. თემურ ჭყონია და როინ მეტრეველი თსუ-ს სიძაბუნეს ჩივიან



თსუ-მ ბურთი ხელში ვერ მოიგდო

თანაბარი თამაში მხოლოდ პირველ ათწუთეულში იყო, როცა მეფარეები სამწამიანში გასაბატონებლად იბრძოდნენ. დინამოელმა დავით მუშკუდიანმა და სტუდენტმა კახა შენგელიამ ისეთი ჭიდაობა გამართეს, რომ ჯაჯგურ-ჯაჯგურში ერთიც ვერ ახერხებდა ქულების მოპოვებას. ვერც უკანახაზელები ჩუბინობდნენ და საწყისი მეოთხედიც მოკრძალებული ანგარიშით, 14:14 დასრულდა.

დაიწყო მეორე ათწუთეული და მოედანზე სრულიად სხვა, მობილური და შეწყობილი „დინამო“ გამოვიდა. დავით მუშკუდიანმა ძალით რომ ვერ იხეირა, საკალათბურთო ეშმაკობებით აჯობა თსუ-ს მეფარეებს, ლაშა ლოსაბერიძემ კი მგლის მუხლი და მიმინოს თვალი გამოიბა და სტუდენტთა კალათაშიც პანტაპუნტით ცვიოდა ბურთები. დინამოელები აქეთ სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, იქით სამწამიანში ყოჩაღობდნენ და პირველი ტაიმის შემდეგ 8-ქულიანი უპირატესობაც დაიბევეს.

გია ჯავახიშვილმა მდგომარეობის გამოსწორება უკანახაზელებს მიანდო, მაგრამ იშტაზე მოსული დინამოელების წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდ გიგი ნაცვლიშვილი აღმოჩნდა მზად. თსუ-ს იმედი ბოლო მეოთხედამდე რომ არ გადაეწურა, სწორედ ნაცვლიშვილს უნდა უმადლოდეს, რომელმც მესამე მეოთხედში ათი ქულა მიითვალა. მაგრამ რად გინდა, სტუდენტებმა ბოლო ათწუთეული კვლავ ჩააფლავეს. უფრო სწორედ კი, არჩილ ყლენტსა და კოტე ტულუშს ვერ მოუხერხეს ვერაფერი და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე დინამოელთა უპირატესობამ 20 ქულას რომ მიაღწია, ყველაფერიც აქ დამთავრდა.

ამ მატჩამდე კი ბათუმის „ბასკო“ „მაკაბის“ შეხვდა და გუშინწინ რუსთავში წაგებით გახელებულმა რომ სუსტი მეტოქე დაინდო, ცოტა გასაკვირიც კია. თითქმის მთელი მატჩი ზღვისპირელები მეორე შემადგენლობით ერჩოდნენ მაკაბელებს და საბოლოოდ მოზომილი ანგარიშით, 112:98 იმარჯვეს.

**ირაკლი პერტაია**

# დენვერმა ფინიქსი გაფინა და რესტორანში გამოეფინა

*„დენვერ ნაგიტსმა“ ახალი სეზონი მოგებით დაიწყო. ნიკა ცქიტიშვილის გუნდმა პირველ საგამოფენო მატჩში საკმაოდ მძლავრ „ფინიქსს“ უმასპინძლა და 113:100 დაამარცხა. საგამოფენო მატჩების დანიშნულება რეგულარული ჩემპიონატისთვის მომზადებაა, თუმცა გუნდები უძლიერესი შემადგენლობით თამაშობენ და დენვერელებსაც არაერთი ვარსკვლავის მყოლ „ფინიქსის“ დამარცხება წარმატებად ჩაეთვლებათ. ხუთეულში არა, მაგრამ თითქმის ყველა სასტარტოზე მეტი ითამაშა ნიკა ცქიტიშვილმა და საკმაოდ შედეგიანიც იყო — 24 წუთში 9 ქულა დააგროვა. ჩვენებურზე მეტი მხოლოდ დენვერელთა ლიდერებმა, ვოშონ ლენარდმა, ანდრე მილერმა და კარმელო ენტონიმ მოიხვეჭეს. ჯეფ ბზელიკის სამწყსომ ხმაურიანად აღნიშნა ძლიერი მეტოქის დამარცხება, ნამატჩევს მთელი შემადგენლობით ერთ-ერთ დენვერულ რესტორანში მოილხინა. ცქიტიშვილსაც მაშინ დავუკავშირდით, საბანკეტო სუფრასთან რომ იჯდა და გახარებული დენვერელების წამოძახილები ჩვენს რედაქციაში ტელეფონის ყურმილშიც კარგად ისმოდა...*

— დენვერში ახლა ღამის თორმეტი საათია, ასე გვიან სად ხართ, რა ხმაურია?

— მთელი გუნდი რესტორანში ვართ, „ფინიქსის“ დამარცხებას ვზეიმობთ. ძალიან კარგი სიტუაციაა, დიდი სუფრა გავშალეთ და ერთი ოჯახივით გულიანად ვხალისობთ.

— დიდი ხანია, თამაში დამთავრდა?

— სამი-ოთხი საათია. მოვწესრიგდით, ცოტა დავისვენეთ და რესტორანში შევიკრიბეთ.

— „ფინიქსმა“ სრული შემადგენლობით ითამაშა?

— „ფინიქსმაც“ და ჩვენც. ფინიქსელებს არავინ აკლდათ, სტეფან მარბერი, შონ მარიონი, ანფერნი ჰარდევეი, ამარე სტუდემაიერი...

— **ასეთი ხალხის ჯობნა იოლი საქმე არაა, ეტყობა, არ დაიხანჯნენ...**

— როგორ არა, ძალიანაც უნდოდათ, მოეგოთ, მაგრამ ჩვენც მართლა კარგად ვითამაშეთ. არავის გაუფუჭებია თამაში, ყველა დენვერელმა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინა და მოვიგეთ კიდეც.

— **შენზე რას იტყვი, რა პოზიციაზე გათამაშეს?**

— ხუთეულში არ დამიწყია, მაგრამ ჩემზე მეტი მხოლოდ კარმელო ენტონიმ ითამაშა, რომელიც 19 ქულით ჩვენი გუნდის ბომბარდირი გახდა. ძირითადად ოთხი ნომერი ვიყავი, თუმცა ცენტრობაც მომიხდა.

— **მერე, როგორ ითამაშე ფარქვეში?**

— ვერ ვიტყვი, მეტოქეები დავჯაბნე-მეთქი, მაგრამ ფარქვეშა ბრძოლებში საკმაოდ სოლიდურად გამოვიყურებოდი, ფიზიკურად არ დავჩაგრულვარ. აქ მთავარი ძალაა, რაც მგონი, საკმარისად მაქვს, დანარჩენი კი კლასის ამბავია, სამწამიანში თამაშს მალე ავუღებ ალღოს.

— **შენი ოპონენტები ვინ იყვნენ?**

— ნიკ შეპარდთან და ამარე სტუდემაიერთან მომიხდა თამაში. ხან ერთი მიჭერდა, ხან მეორე. თუ ვერ ვაჯობე, არც დავჩაგრულვარ. ქულები კი ძირითადად საშუალო სროლებით მოვაგროვე, მხოლოდ ერთი ბურთი ჩავაგდე ფარქვეშიდან.

— ფიქრობ, ასეთი თამაშით „დენვერის“ ხუთეულში დამკვიდრდები...

— ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. „ფინიქსთან“ თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს არ არის ჩემი მაქსიმუმი, მეტის გაკეთება შემიძლია და აქ იმისთვის ვარ, რომ ეს დავამტკიცო. მთავარია, თამაშს ვუმატებ, ვნახოთ, რა იქნება.

**ირაკლი პერტაია**



ნიკა ცქიტიშვილმა საგამოფენო სეზონი ცხრა ქულით გახსნა

# F1

**XVI ეტაპი** **იაპონიის დიდი პრიზი**

**სუძუკა**

*სუძუკა, 12 ოქტომბერი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- **5.824 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------- **53 წრე — 308.476 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 10.30 საათზე*

**შარშანდელი:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 მონტოია (უილიამსი); 5 სატო (ჯორდანი); 6 ბატონი (რენო)

**წრის რეკორდი:** 2002 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:36.125 (218,1კმ/სთ)

## იაპონური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 5 | 8 | 68 | 7 | 12 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 2 | 6 | 46 | - | 11 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 2 | 4 | 31 | 3 | 7 |
| გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 2 | 3 | 31 | 2 | 11 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 2 | 2 | 26 | - | 7 |
| რიკარდო პატრეზე | იტალია | 1 | 3 | 25 | - | 8 |
| ჯეიმს ჰანტი | ბრიტანეთი | 1 | 2 | 13 | - | 2 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 1 | 1 | 12 | - | 5 |
| ალესანდრო ნანინი | იტალია | 1 | 1 | 11 | - | 3 |
| მარიო ანდრეტი | აშშ | 1 | 1 | 9 | 2 | 2 |
| ედი ირვინი | ბრიტანეთი | - | 3 | 20 | - | 10 |
| ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | - | 1 | 13 | - | 8 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | - | 1 | 13 | - | 10 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | - | 3 | 12 | - | 8 |
| ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | - | 1 | 9 | - | 2 |
| კიმი რაიკონენი | ფინეთი | - | 1 | 4 | - | 2 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | - | - | 4 | 2 | 7 |
| ჯენსონ ბატონი | ბრიტანეთი | - | - | 3 | - | 3 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | - | - | 3 | - | 6 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | - | - | 2 | - | 8 |

# ერთი ნაბიჯი უდიადესობამდე

მიხაელ შუმახერს ერთადერთი ნაბიჯიღა აშორებს ფანტასტიკურ მიღწევამდე და, როგორც მთელი საფორმულო სამყარო მოელის, დიადი გერმანელი ამ ზეისტორიულ ნაბიჯს ხვალ გადადგამს, ესე იგი მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გახდება.

შეგახსენებთ, მიხაელი ცხრა ქულით უსწრებს ერთადერთ შემორჩენილ კონკურენტ კიმი რაიკონენს და სარეკორდო ტიტულის მოსაპოვებლად „სუძუკაზე" ხვალ კინკილა, სამერვეადგილო ქულაც ეყოფა, თუმც ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონიის დიდ პრიზს „ყინულის კაცი" კიმი მოიგებს. მაგრამ მოიგებს კი?

„სუძუკა" შუმახერის ერთ-ერთი უსაყვარლესი ტრასაა — იქ ხუთჯერ გაუმარჯვია და ბუნებრივია, ამჯერადაც უმთავრეს ფავორიტად ითვლება. ისე, შუმის სახვალიოდ ორმაგი მისია აკისრია — გუნდური, ანუ კონსტრუქტორთა ჩათვლაში „ფერარი" სულ რაღაც სამი ქულითაა „უილიამსზე" წინ და თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოსთან ერთად „წითელ ბარონს" საკუთარ ძმასთან და მის მეწყვილე მონტოიასთან დიდი ბრძოლა მოელის.

იმასაც ვიტყვით, რომ წლევანდელ 15 ეტაპზე მიხაელის სისხლისფერი ბედაური მხოლოდ ერთხელ გამოეთიშა რბოლას, ბოლო 12-ში კი უქულოდ არ დარჩენილა. რაიკონენის ვერცხლისფერი რაში სამჯერ ვერ მივიდა ფინიშამდე.

გუშინ წინასწარ საკვალიფიკაციო გაჯიბრებაში ყველას რენოელმა იარნო ტრულიმ აჯობა. მეორე-მესამე დრო რალფ და მიხაელ შუმახერებმა აჩვენეს. რაიკონენი მეხუთე იყო.

ბოლოს ერთი ამბავიც: გუშინ BAR-ის საჭეს ჟაკ ვილნევის ნაცვლად ტაკუმა სატო უჯდა. ის, რომ ბარელებმა მსოფლიოს ექსჩემპიონი კანადელი მოხსნეს, რამდენიმე დღის წინ გაცხადდა. ჰოდა, ჟაკიც, რაკი მოტივაცია აღარ ჰქონდა, ვადამდე დაემშვიდობა „სამეფო რბოლებს".

კიდევ წასვლა-წამოსვლასთან დაკავშირებით: ხვალინდელი რბოლა უკანასკნელი იქნება ერთ-ერთი უხნეს მეფორმულე ჰაინც-ჰარალდ ფრენცენისთვის. 36 წლის გერმანელი ათსეზონიანი სამძღოლო კარიერის შემდეგ პენსიაზე გადის.



კიმი რაიკონენი და მიხაელ შუმახერი საჩემპიონო რბოლის წინ უხასიათობას არ უჩივიან

REUTERS სუძუკადან



# პირსმა პირი იბრუნა



**მარი პირსმა ვეება მკლავი ახალგაზრდულად გაშალა**

**ლიონის გრანპრი**

მაგარსაფარი. საპრიზო 800 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**რაინერ შუტლერი** (1, გერმანია) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია), 4:6, 7:6 (7:2), 7:5; **პარადორნ შრიჩაფანი** (3, ტაილანდი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:1, 6:4; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4.

ზედიზედ მეშვიდე მატჩის მოსაგებად და ჰიუსტონური რვაკაცა მასტერსთასისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადასადგმელად რაინერ შუტლერს წაგებული სეტის მერე ორის უკუგება მოუხდა. ადვილი ამბავი ეს სულაც არ ყოფილა, რაკილა ზორბა ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი მას მეორე სეტშიც ჯიქურ ეტანებოდა. მაგრამ საბოლოოდ ისევ კლასმა და თავისი უპირატესობის შეგნებამ იძალა — შუტლერს ახლა მეოთხედფინალში ქსავიე მალისის დამარცხებაღა უნდა და ჰიუსტონურ რვაკაცა მასტერსთასზეც უეჭველად გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ მასტერსთასი წლის შემაჯამებელი ტურნირია და მასში მონაწილეობის უფლებას ჩემპიონთა რბოლის საბოლოკვირაო სიაში პირველ რვა მოწინავე მეჩოგნე იხვეჭს. ამ მომენტისთვის სიის ზეხუთეულს (როდიკი, ფედერერი, ფერერო, აგასი, კორია) ჰიუსტონში ბურთაობა უკვე დაბევებული აქვთ, შუტლერი კი მეექვსეზეა და ნახევარფინალში გასვლისას მდევართაგან ასევე მიუღწეველი გახდება.

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**

მაგარსაფარი. საპრიზო 765 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:3, 4:6, 6:4; **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:2, 6:1; **მაქს მირნი** (ბელარუსი) აგუსტინ კალერი (5, არგენტინა) კალერს არ უთამაშია; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) 6:3, 6:4.

კაროლ ბეკის ძლევის შემდეგ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული როჯერ ფედერერი ერთადერთი კაცმეჩოგნე გახდა, წლეულს უკვე 64 მოგება რომ მოაქუჩა. მასზე ერთით ნაკლებს, აკი გუშინაც გითხარით, მხოლოდ ენდი როდიკი დაიკვეხს.

ფედერერის მსგავსად გაიმეოთხედფინალა ტურნირზე მის მომდევნოდ განთესილმა ესპანელმა კარლოს მოიამაც. მოია, ვინაც რბოლაში რაინერ შუტლერის ქვევით, მეშვიდე ადგილზე იმყოფება, სულ 52 წუთი მოანდომა ამერიკელი ვინს სპადიას გაფარჩაკებას.

**პორშეს გრანპრი**

ფილდერშტადტი. საპრიზო 650 ათასი $

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:2, 6:4; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) 6:4, 6:2; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2, 7:6 (7:3); **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 6:0, 2:1 ფარინა ელიამ შეწყვიტა; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 6:2, 6:3.

კიმ კლაისტერსმა პირველსავე ფილდერშტადტურ მატჩში აჩვენა, რომ ჰინკა თვისტომ ჟუსტინ ენენ-არდენისთვის რეიტინგსიის პირველობის ჩაბარებას უბრძოლველად სულაც არ აპირებს. მისი საჟუსტინო „მესიჯი" მართლაც ძალზედ მკაფიო გამოდგა — გრძელფეხება დანიელა ჰანტუხოვას მან იმ დღეს მხოლოდ ორადორი გეიმი დაუთმო და სულ რაღაც 42 წუთში გადაურბინა.

ეს მატჩი შარშანდელი ფინალის ერთგვარი გამეორება გახლდათ და, მართალია, ერთი წლის წინ დანიელა არც ასეთი კაპწლიკული იყო და უფრო ზორბადაც ჩოგნაობდა, მაგრამ მისი ასეთი შემუსვრა უწინარესად მაინც კიმის საომარ განწყობაზე მიანიშნებს. შეგახსენებთ, რომ ვლეიტონის ქალს პირველოსნობის დაკარგვა მხოლოდ ორ შემთხვევაში ემუქრება: თუკი ჟუსტინი ფინალამდე მივა და თავად — ვერა, ანაც, თუკი ფინალში გასულს მაინც ჟუსტინისგან ჩაჩოგნვა მოუწევს.

თუმცა მანამდე, ჯერ შორსაა და ტურნირზე სხვა საინტერესო ამბებიც ხდება. სახელდობრ — მივიწყებიდან გამოგოგმანებულმა მარი პირსმა აიღო და მოულოდნელად ჯენი კაპრიატი მიბერტყა. ჯენიმ ვერც მის გრუხუნა ხელწალმებს გაუძლო და ვერც გრძელი სეზონის განმავლობაში გადაღლილი დრანცულა სხეულის ტარებას. ასევე დაღლილობით უნდა აიხსნას წინა კვირებისას ლაიპციგსა და მოსკოვში ზედიზედ ორი ტიტულის მომხვეჭ ანასტასია მასკინას ძლევა რუსსავე ელენა ბოვინას მიერ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS საიტიდან

# WORLD IN UNION

რაგბიში მსოფლიოს მეხუთე თასი აქამომდელ გათამაშებებთან შედარებით უფრო ზორბა რომ იქნება, ეს — ავსტრალია-არგენტინის საინტერესო შეხლასთან ერთად — გახსნის ცერემონიამაც ცხადყო. თუკი პირველ თასს, რომელსაც ახალი ზელანდია და ავსტრალია ერთად მასპინძლობდა, ჯამში 600 ქომაგი დაესწრო, საამთასო მატჩებზე დასასწრებად უკვე 1,87 მილიონი ბილეთია გაყიდული და მატჩების ტელეგადაცემებსაც ოთხ მილიარდამდე მაყურებელი იხილავს. სარეკორდოდ ბევრმა, 1700-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა გახსნის ცერემონიალშიც, რომელსაც არც აბორიგენული ფოლკლორის ხიბლი აკლდა, არც ფოიერვერკი და არც სავსე მთვარის ქვეშ ნამღერი სარაგბო ჰიმნი — უორლდ ინ იუნიონ (მსოფლიოს ერთიანობა)... ცერემონიალში თავის წილი დაიდო ლეგენდარულმა ავსტრალიელმა, წინა თასის მომგებ „ვოლაბთა“ კაპიტანმა ჯონ ილზმაც. ცერემონიალის მონაწილეებმა ლელოს გატანის მომენტი წარმოადგინეს, წინასათასო ნამცხვარს კი ნაღები ქვეყნის პრემიერმა ჯონ ჰოვარდმა მოასხა, ვინაც სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილ 81 ათას ფანსა და მთელ მსოფლიოსაც აუწყა, რომ მსოფლიოს მეხუთე თასს ოფიციალურად გახსნილად აცხადებს.






REUTERS საიტიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge